ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 30 მაისი 2007 №121 (3044) ფასი 50 თეთრი

# ცვაინტრახტული დღე



## ტოპმიოლერმა საქართველო ლიტვისა და საფრანგეთისთვის შინ გაამაგრა



საქართველოს ნაკრები ფრანკფურტში უკვე სრული შემადგენლობითაა და ლიტვა-საფრანგეთთან შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება.

გუშინ ჩვენებმა „აინტრახტის" სათადარიგო მოედანზე მსუბუქად ივარჯიშეს, იყო მოთელვა, კვადრატი და სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დამუშავება. კლაუს ტოპმიოლერი გუნდისთვის დატვირთვების გაზრდასა და ტაქტიკური მონახაზის დეტალურად ახსნას დღეიდან შეუდგება.

ლიტვა-საფრანგეთთან მატჩებისთვის ორი კვირის წინ გამოცხადებულ შემადგენლობას შოთა არველაძე, მალხაზ ასათიანი და დავით სირაძე დააკლდნენ, მათ ნაცვლად კი კლაუს ტოპმიოლერმა შოტლანდიიდან გერმანიაში მხოლოდ 17 წლის ლევან მჭედლიძე წაიყვანა.

გეცოდინებათ, შოტლანდიაში ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტ-რაუნდი გაიმართა. ჩვენმა ჭაბუკებმა სამი მატჩი ჩაატარეს და სამჯერვე ბოლო წუთები გამოდგა გადამწყვეტი, ამის თაობაზე კი კლაუს ტომპიოლერმა, რომელიც ძმას, ჰაინცს შოტლანდიაში ეხმარებოდა, თქვა, ჯგუფიდან გასვლის ძალიან რეალური შანსი გვქონდა და ამას ვიმსახურებდით კიდეც, მაგრამ მსაჯობისა და ბოლო წუთებზე დაშვებული უხეში შეცდომების გამო მიზანს ვერ მივაღწიეთ.

ახლა მთელი ყურადღება გერმანიისკენ, შემდეგ კი ლიტვისკენ და საფრანგეთისკენ გვაქვს. ეროვნული გუნდი საამმატჩებო სამზადისს შეუდგა.

ჩვენები ლიტვასთან სათამაშოდ კაუნასში ზეგ გაემგზავრებიან...

AFP



## ჩელსიმ პირი დააღო: კაკა!

4




## ლუკა ტონი: ორი წლით ბაიერნში

6




## გერმანიამ დიეგო აღიარა

8

FIFA

## ფიფას სიმაღლის ვეტოს ყელში ამოადენენ?

8

# ალექსანდრე იაშვილი: მხოლოდ ბუნდესლიგა



**ალექსანდრე იაშვილმა** გადაწყვიტა, რომ კარიერას აუცილებლად ბუნდესლიგაში გააგრძელებს. გუშინ მას იმ დროს დავუკავშირდით, როცა ფრაიბურგიდან ფრანკფურტში მიდიოდა სანაკრებო შეკრებაზე.

„ლიტვასთან და საფრანგეთთან მატჩების შემდეგ გადავწყვეტ, სად ვითამაშებ. ბევრი წინადადება მაქვს, უმეტესად ბუნდესლიგის კლუბებიდან".

„არმინია", „კარლსრუე", „ბოხუმი", „ვოლფსბურგი" — ეს ის ბუნდესლიგური კლუბებია, რომლებმაც „იაშის" ყიდვის სურვილი ხმამაღლა გამოთქვეს და მოლაპარაკებებშიც ჩართულნი არიან.

29 წლის ქართველ ფორვარდს რეგიონალლიგიდან მეორე ბუნდესლიგაში გადასული „ჰოფენჰაიმი" და ბერძნული „პანიონიოსიც" ეპატიჟებიან, თუმც იაშვილმა ეს ვარიანტი გამორიცხა, გერმანიაში მსურს დარჩენა და თანაც ნორმალურ კლუბშიო.

„გერმანულმა გაზეთებმა კი დაწერეს „ჰოფენჰაიმზე" და „პანიონიოსზე", მაგრამ მე ამ გუნდებში გადასვლა არ მსურს". — გვითხრა იაშვილმა, რომელმაც „ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში ვერ გადაიყვანა, მაგრამ 10 გოლითა და 15 საგოლე პასით ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა, ასისტენტებში კი სულაც საუკეთესო იყო მეორე ბუნდესლიგაში.

**ილია ნანობაშვილი**

# ფულსაც ორი მხარე აქვს და უფულობასაც

## სპორტული პრინციპი, ოღონდ...

საქართველოს ჩემპიონატის 14-გუნდა უმაღლესი ლიგის კლუბები ძალიან განსხვავდებიან ბიუჯეტებით. მეორე წრეში რამდენიმეს ფინანსური პრობლემები შეექმნა და ჩემპიონატში მონაწილეობა საეჭვო გაუხდა. სავარაუდოდ, ზოგიერთი გუნდის წინაშე ეს პრობლემა კვლავაც დგას, მაგალითად კი საჩხერის „ჩიხურა" ვთქვათ, რომლის ადგილზე უკვე სამი გუნდი აცხადებს პრეტენზიას — „კოლხეთი", „დილა" და „ცხინვალი". რას გადაწყვეტენ საჩხერელები, ჯერჯერობით უცნობია — კლუბის ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში აპირებს შეკრებას.

რა აზრისაა ამაზე პროფლიგა, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატს ატარებს? ამ კითხვით მივმართეთ პროფლიგის პრესსამსახურის უფროსს პაატა ბურჯალიანს...



— პროფლიგა, სპორტული პრინციპებიდან გამომდინარე, ასეთი მიდგომის წინააღმდეგია. უმაღლეს ლიგაში უნდა ითამაშოს იმ გუნდმა, ვინც თამაშით დაიმსახურა. ეს ქართული ფეხბურთისთვისაც კარგია, საინტერესო ის არის, ბრძოლით რომ მოიპოვებ ადგილს და არა ფინანსებით. თუმც არის მეორე მხარეც — თუ გუნდს ჩემპიონატში მონაწილეობის ელემენტარული საშუალება არ აქვს, იგი მთლიანად არევს ყველაფერს. თან ფეხბურთელებიც ცუდ დღეში ჩაცვივდებიან, შესაძლოა, შუა სეზონში უმუშევრები დარჩნენ — ესეც გასათვალისწინებელია.

— ითქვა, საჩხერის „ჩიხურას" ადგილი სამ გუნდს უნდაო...

— კონკრეტულად რაიმე წინადადება არც „ჩიხურადან" და არც სხვა გუნდებიდან პროფლიგაში ჯერ არ შემოსულა.

— **მომავალი ჩემპიონატის კალენდარზე მუშაობა როდის დაიწყება?**

— კალენდარზე მუშაობა უკვე დაწყებულია, ამაზე საშეჯიბრო სამსახური მუშაობს.

— **პირველობა ისევ თოთხმეტგუნდიანი იქნება?**

— ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით. ხვალიდან პროფლიგა იწყებს კონსულტაციებს კლუბებთან. სპეციალური კომისია შეისწავლის კლუბების მდგომარეობას და ლიცენზიების საკითხს. გვინდა, ისე ჩავატაროთ ჩემპიონატი, რომ რომელიმე მათგანი საფრთხის წინაშე არ დადგეს. ამიტომ ყველაფერს საფუძვლიანად შევისწავლით, შემდეგ კი პროფლიგა და ფედერაცია ერთად გადაწყვეტენ ყველაფერს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# იტალია მხეცია, საქართველოსთან შეიძლება

**საქართველოს** და იტალიის ნაკრებებთან სათამაშოდ ლიტველები უკვე შეიკრიბნენ და გუშინ ვილნიუსში, „ჟალგირისის" სტადიონზე, პირველი ვარჯიშიც ჩაატარეს.

გუნდი თითქმის სრული შემადგენლობით შეიკრიბა, არ იყვნენ მხოლოდ ტომას ჟვირგჟდაუსკასი და ტომას რაძინევიჩუსი, რომლებიც გუნდს წუხელ უნდა შეერთებოდნენ. გუნდთან ერთადაა დარიუს მაცეიკა, მაგრამ მას ტრავმა აწუხებს და, სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრას გამოტოვებს. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ფეხბურთელი იტალიელებთან მატჩისთვის გამოჯანმრთელდება. პირველ ვარჯიშზე არ გამოჩენილა ნაკრებს გაბუტული ედგარას ჩესნაუსკისი. როგორც ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი გვამცნობს, ფეხბურთელი სატელეფონო ზარებსაც არ პასუხობდა.

ვარჯიშის შემდეგ ლიტველთა მწვრთნელმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა მომავალ მეტოქეებზე ისაუბრა:

„საქართველოს და იტალიის ნაკრებებს ყველა იცნობს. იტალიელები მსოფლიოს ჩემპიონები არიან და ამით ყველაფერია ნათქვამი. საქართველო კი შოტლანდიის და უკრაინის დონის გუნდია, თუმც ამ ციკლში ბევრს ვერაფერს მიაღწია.

იტალიელები ლიტვაში გამხეცებულები და უეჭველად მოსაგებად ჩამოვლენ, რადგან ნეაპოლში ფრე ვითამაშეთ.

ჩვენი მიზანია, უახლოეს მატჩებში რაც შეიძლება მეტი ქულა ავიღოთ. საქართველოსთან ფრე ტრაგედია არ იქნება, თუმც ეს ის გუნდია, რომელთანაც თამაში შეგვიძლია" — განაცხადა ლიუბინსკასმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მეორე წრე ანუ მეორე განყოფილება: ბათუმს მტყობა კმაყოფილება

სეზონი დასრულდა, გუნდები ისვენებენ, თუმც კლუბების ხელმძღვანელობას საფიქრალს რა გამოულევს. ვინ გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობს, ვინ — ფეხბურთელების შენარჩუნებაზე, ზოგსაც სხვა უამრავი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. „ბათუმმა" სეზონი ისე ვერ ჩაატარა, როგორც სჩვევია, მუდამ ლიდერებში ან მათ სიახლოვეს მოტრიალე გუნდი წლეულს სულ იმას ცდილობდა, პლეი ოფისთვის აერიდებინა თავი.

გუშინ „ბათუმის" მწვრთნელ ამირან გოგიტიძეს შევეხმიანეთ და განვლილ სეზონსა და მომავალ გეგმებზე ვესაუბრეთ...



— სეზონი დამაკმაყოფილებლად ჩავატარეთ, უფრო მეორე წრე. კი იყო იმის საშიშროება, რომ ლიგაში დასარჩენად პლეი ოფში გვეთამაშა, მაგრამ ბოლო ტურები კარგად ჩავატარეთ და საჭირო ქულები ავიღეთ. საერთოდაც, მეორე წრეში თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ.

— მეორე წრე ნათხოვარი ფეხბურთელებით ითამაშეთ, ალბათ ისინი უკვე დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს.

— ასეა, მაგრამ ჩვენ მათთან ვისაუბრეთ და შესაძლოა, ისევ დაგვიბრუნდნენ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მათ თავიანთ გუნდებში კვლავ სათადარიგოთა სკამზე მოუწევთ ჯდომა — ალალად განაცხადეს, რომ უთამაშებლობას აქ დაბრუნებას არჩევენ. ერთადერთი კობა შალამბერიძე ვერ დაგვიბრუნდება, როგორც ვიცი, ის „ამერში" გადადის.

— **გუნდს ფინანსური პრობლემები ჰქონდა, მომავალ სეზონში ვინ იქნება გუნდის მიმხედავი?**

— ისევ აჭარის მთავრობა, გუნდს ყოველთვის ის პატრონობდა. მეორე წრეში მდგომარეობა უკეთესი იყო და მომავალშიც გვპირდებიან დახმარებას.

— **სტადიონის ამბავი როგორ იქნება?**

— ანგისას სტადიონის მშენებლობა იწყება და სავარაუდოდ 2009 წლისთვის მზად იქნება.

— **მანამდე ისევ „ადელზე" ითამაშებთ?**

— ჯერჯერობით სხვა ვარიანტი არ არსებობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### შვედეთი
სუპერეტა
VII ტური

სუნდსვალი 2:0 ლანდსკრონა

### ირლანდია
პრემიერლიგა
XIII ტური

ბრეი 2:1 დუბლინი
დერი 1:1 უოტერფორდი
ლონგფორდი 0:3 გალვეი
სლიგო 0:2 დროჰედა
შემროკი 2:0 კორკი

### ისლანდია
პრემიერდივიზიონი
IV ტური

ფრამი 0:2 ჰაფნარფიორდური

### პოლონეთი
ლიგის თასი
1/4 ფინალი. I მატჩები

ლეჩნა 2:2 ლეგია
ვისლა 3:2 ლეხი

### ამხანაგური მატჩები
ზიმბაბვე 2:2 ბურკინა ფასო
ტრინიდადი 1:0 ჰაიტი


**იყიდება**

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94



საფეხბურთო კლუბ „დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას „დინამოს" გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები აწარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს. მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონით ნომერზე 53 20 76

*ს.კ. „დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია*

# რვიდან მეექვსე

## კარგია, როცა კარგი კარგად თამაშობს

## გივი დიდავამ ანგარიში ფინალამდე იცოდა

საქართველოს თასის რეკორდსმენი მეკარე ირაკლი ზოიძეა, რომელსაც ფინალში 9-ჯერ უთამაშია, თასი კი შვიდჯერ ალუმართავს. კარგა ხანს ისე ჩანდა, რომ ზოიძის დამწევი არავინ იყო, თასის ამ ფინალმა კი რეკორდსმენს კონკურენტი გამოუჩინა — „ამერის" მცველმა გივი დიდავამ ოთხი დღის წინ მერვედ ითამაშა ფინალში, თასი კი მეექვსედ მოიგო. ჰოდა, თუ მოხდა და, გივიმ კიდევ ითამაშა ფინალში, ეგებ რეკორდის თანაავტორიც გახდეს.
თუმცა რეკორდი რეკორდად და, გივი დიდავას კლასსა და პროფესიონალიზმს ურეკორდებოდაც არასდროს გამოუწვევია ეჭვი, ხოლო ვინც მას პირადად იცნობს, იმაშიც უეჭველად დაგვეთანხმება, რომ გივი დიდავას დარი ადამიანები ფეხბურთში ბევრნი არ არიან.
დიდავას თასები ვთქვით და ისიც სათქმელია, რომ „დინამოსა" და „ტორპედოს" შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონიც არის, ეროვნულ ნაკრებში კი 21-ჯერ უთამაშია და ბევრი ამ შედეგითაც ვერ დაიკვეხნის



ერთ დროს ტორპედოელი თანაგუნდელები
გივი დიდავა და ზურაბ იონანიძე 26 მაისს მეტოქეები იყვნენ

— ცხადია, ძალიან მიხარია, რომ საქართველოს თასი მეექვსედ მოვიპოვე. 26 მაისს თასის ფინალში მერვედ ვითამაშე და მეექვსედ მოვიგე — გვითხრა გივი დიდავამ, ვინც „ამერთან" ერთად ექვსი თვის წინ სუპერთასიც მოიგო — წაგებული ფინალები კარგად მახსოვს, როცა „დინამოში" ვთამაშობდი, ერთხელ „ბათუმმა" მოგვიგო, „ტორპედოში" ყოფნისას კი თასი „ლოკომოტივს" დარჩა, თუმცა იმ სეზონში „ტორპედოსთან" ერთად ჩემპიონი გავხდი.

**— ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი ფინალი იყო?**

— რა თქმა უნდა, პირველი ფინალი, მაშინაც „დინამოში" ვთამაშობდი და „ბათუმს" 1:0 მოვუგეთ. მაშინ ბათუმელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავდათ, მაგრამ ნაკლები არც „დინამო" იყო. მახსოვს, იმ შეხვედრაში ერთი კარგი საგოლე მომენტი მქონდა, ნაღდი გოლი მეგონა, მაგრამ მეკარემ ბოლო წამს იყოჩალა. ჩემთვის მნიშვნელოვანია ახლა, „ზესტაფონთან" მოგებული ფინალიც. „ამერში" სრულად ერთი სეზონიც არ მითამაშია და ამ გუნდთან ერთად უკვე ქვეყნის თასი და სუპერთასიც მოვიგე. ისე, „ტორპედოს" შემადგენლობაში ორჯერ ავიღე თასი და ესეც თავისებურად დამამახსოვრდა, რაც უნდა იყოს, პრიზი მშობლიური კლუბის სახელით მოვიპოვე.

**— რვა ფინალიდან შენთვის ყველაზე მძიმე და რთული რომელი იყო?**

— ალბათ ის, როცა „დინამოს" „ბათუმმა" მოუგო. ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა, ძალიან მაგარი თამაში იყო. დამატებით დროში საგოლე მომენტები ორივე კართან შეიქმნა, ტემპი და სანახაობა არ აკლდა ამ შეხვედრას. სულ ბოლოს კი... თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე დავით ჭიჭველიშვილმა გაგვიტანა ოქროს გოლი. არადა, იქამდე „დინამოს" ბათუმელებისთვის ზედიზედ სამი ფინალი ჰქონდა მოგებული.

**— „ზესტაფონთან" 26 მაისის ფინალზე რას იტყვი. დარწმუნებული იყავი, რომ მოიგებდით?**

— დიახ, მჯეროდა, რომ მოვიგებდით. ერთ ამბავს გეტყვით: მატჩის წინა ღამით ჩემს მეუღლეს დაესიზმრა, რომ „ზესტაფონმა" 1:0 მოგვიგო. საერთოდ, მას სიზმრები პირიქით უხდება ხოლმე. ჰოდა, როცა ეს ანგარიში მითხრა, მაშინვე გუნდში ვთქვი, ბევრჯერ მომხდარა პირიქით-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მე „ზესტაფონთან" მატჩის შემდეგ.

**— არადა, მატჩი „ზესტაფონის" ორი კარგი მომენტით დაიწყო...**

— მართალია, „ზესტაფონს" მატჩის დასაწყისშიც და მთლიანად პირველ ტაიმშიც ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ შემდეგ უკვე თამაშიც გავათანაბრეთ და ის მომენტიც გამოვიყენეთ, რომელმაც თასი მოგვიტანა. „ზესტაფონი" საკმაოდ კარგი გუნდია, მათთან იოლ მოგებას არც ველოდით. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ძალიან მძიმე თამაში იქნებოდა და ამისთვის მზად ვიყავით. მთავარი იყო, ჩვენი შანსი გამოგვეყენებინა, ეს მოვახერხეთ და, ვფიქრობ, დამსახურებულადაც მოვიგეთ.

**— ამ სეზონში „ამერს" ჩემპიონობის კარგი შანსიც ჰქონდა...**

— გვქონდა, მაგრამ... „ამერმა" სულ მეორე სეზონი ჩაატარა უმაღლეს ლიგაში და ვფიქრობ, არც წლევანდელი მესამე ადგილი უნდა იყოს ურიგო შედეგი. თანაც ამ სეზონში ორი თასიც მოვიგეთ. მომავალში კი, იმედი მაქვს, ჩემპიონობასაც შევწვდებით. წლეულს ჩემპიონატის ლიდერებს შორის ისეთი დაძაბულობა იყო, რომ დარწმუნებული ვარ, გაისადაც ასე იქნება. ხოლო მაშინ, როცა ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, არ უნდა მოდუნდე. ამ სეზონში კი „ამერს" პირველობამდე ექვსი ქულა დააკლდა და ეს ქულები სწორედ იმ მატჩებში დავკარგეთ, ჩვენგან ყველა მოგებას რომ ელოდა.

**— ჩემპიონატიდან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევ?**

— დინამოელ სანდრო იაშვილს. ის საქართველოს ჩემპიონატში მაშინაც თამაშობდა, როცა აქედან წავედი. მისი თამაში ახლაც რამდენჯერმე ვნახე და აშკარა პროგრესი შევატყვე, სანდროს საგრძნობლად მოუმატებია.

**— გუნდებიდან ყველაზე მეტად რომელთან გაგიჭირდათ?**

— მაინცდამაინც არც ერთთან გაგვჭირვებია, თუმცა ლიდერებთან ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩები კი გამოგვივიდა. პირადად ჩემთვის ყველაზე კარგი მატჩი „დინამო" — „ამერი" იყო. ვფიქრობ, „დინამოც" გამოსარჩევი გუნდია.

**— გინდა თქვა, რომ ჩემპიონობას „დინამო" უფრო იმსახურებდა?**

— არა, მაგრამ „დინამომ" მეორე წრეში მართლაც ძლიერად ითამაშა. ეს გუნდი პირველ წრეშიც ისეთივე სტაბილური რომ ყოფილიყო, როგორც მეორეში, ჩემპიონობას ვერავინ შეეცილებოდა. „ამერის" მსგავსად „დინამომაც" რამდენიმე მოულოდნელი ქულა დაკარგა.

**კობა ინასარიძე**



# იაშვილის ამბავი შვებულებასა და გერმანიას შორის გადაწყდება

თბილისის „დინამოს" მეგოლეს სანდრო იაშვილს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობა ალბათ გარანტირებული აქვს. ჩემპიონატის ბომბარდირს საუცხოო სეზონი ჰქონდა. მისი გატანილი 21 გოლიდან 10 გადამწყვეტი იყო, 15 კი „იაშკამ" მეორე წრეში გაიტანა.

ძნელად, ასეთი ფეხბურთელის შენარჩუნება რომელიმე ქართულ კლუბს შეეძლოს, თუნდაც ეს „დინამო" იყოს. სავარაუდოდ, იაშვილი ამ ზაფხულშივე გალეგიონერდება. მისი გადაბირება კი რამდენიმე ევროპულ კლუბს სურს.

სანდრო იაშვილის შესაძლო ტრანსფერზე „დინამოში" ახალი და კონკრეტული ვერაფერი გვითხრეს. გუნდი ახლა შვებულებაშია და 10 ივნისს შეიკრიბება. 26 ივნისს „დინამო" გერმანულ შეკრებაზე მიდის, იქამდე კი იაშვილის ამბავიც გადაწყდება.

„იაშკას" შეძენა გერმანულ, ავსტრიულ და შვეიცარიულ კლუბებს სურთ. სახელდება სავარაუდო გუნდებიც — „ფრაიბურგი", „რაპიდი" და „ციურიხი".

სანდროსთვის ძალიან გულდასაწყვეტია, რომ მის ტრანსფერს სანაკრებო კარიერა ვერ გაუმაგრებს ზურგს. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი არა და არ ენდობა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლესა და ფეხბურთელს.

**ბაჩო სვანიძე**

# გელაშვილის პირველ-მეორე ისევ ბრიუგე და ბეერსხოტია



დასრულებული სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული თავდამსხმელი ნიკა გელაშვილი კარგა ხანია, ბელგიაში მოწყობას ცდილობს.

დავაზუსტოთ: „ვიტ ჯორჯიას" 22 წლის შემტევი ჩემპიონატის ბოლოს „ბრიუგეში" ისინჯებოდა. გელაშვილმა ტესტ-მატჩებში გოლებიც გაიტანა, თუმც ბელგიელებმა მაშინ კონტრაქტის გაფორმებისგან თავი შეიკავეს და გელაშვილი ზაფხულისთვის დაიბარეს.

„ბელგიაში 20-25 ივნისს უნდა ჩავიდე. ისევ „ბრიუგეს" სურს ჩემი აყვანა, რომელსაც ახლახან მწვრთნელი შეეცვალა და, როგორც მითხრეს, ახალი მწვრთნელიც დაინტერესებულია ჩემი ნახვით. შეკრებაზე გამყვებიან „ბრიუგეს" თუ ტესტ-მატჩებში გამომცდიან, არ ვიცი. ერთი კი ნაღდია, ივნისის ბოლოს ყველაფერი გაირკვევა" — გვითხრა ნიკა გელაშვილმა, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

გელაშვილის თქმით, მას უკვე დაუმთავრდა კონტრაქტი „ვიტ ჯორჯიასთან" და ახლა თავისუფალი აგენტია, რაც მის ტრანსფერს შეუწყობს ხელს. ერთიც: თუ „ბრიუგეს" ვარიანტი არ გამოვიდა, გელაშვილს აქეთ-იქით სიარული არ მოუწევს, რადგან ბელგიური „ბეერსხოტიც" მზადაა, ქართველ ფორვარდს კონტრაქტზე ელაპარაკოს.

**ბაჩო სვანიძე**

# ჩელსიმ პირი დააღო: კაკა!



**კაკა** მოგვეცით და შევჩენკოს დაგითმობთ — აი, ასეთ პირობას წაუყენებს ლონდონის „ჩელსი“ „მილანს“, რომელსაც უკრაინელი ფორვარდის დაბრუნება სურს.

იტალიური „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, კლუბებს შორის მოლაპარაკება ამ კვირაში დაიწყება. „შავ-წითლებმა“ ეს ვარიანტი თუ იუარეს, „ჩელსი“ გარიგებაში „პსვ ეინდჰოვენიდან“ დაბრუნებულ ბრაზილიელ მცველ ალექსს ჩართავს.

ბრიტანული „ნიუს ოფ ზე ვორლდი“ კი ამტკიცებს, რომ ანდრეი შევჩენკოს წასვლის შემთხვევაში ლონდონელები დავიდ სილვას ყიდვას შეეცდებიან — „ვალენსიას“ შემტევი 22 მილიონი გირვანქა ღირს.

გამორიცხული არ არის, „ჩელსიში“ აღმოჩნდეს კლაუდიო პიზაროც. მიუნხენის „ბაიერნის“ პერუელ თავდამსხმელს ივნისის ბოლოს ეწურება კონტრაქტი და ლონდონელებს მის სანაცვლოდ ფულის გადახდა არ მოუწევთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რუნი, ამოდი სახლში!

**„კოკა-კოლას“** აქციაში მონაწილეობის გამო უეინ რუნი დატუქსეს. აქციის მიზანი ქუჩის ფეხბურთელთა შორის საუკეთესოს გამოვლენაა და მანჩესტერელიც მათთან ერთად დასდევდა ბურთს. ბიჭები ტროტუარზე და შუა ქუჩაში დარბოდნენ, რაც სიცოცხლისთვის საშიშია და კლუბმა რუნის თითი დაუქნია — სახიფათო თამაშებს შეეშვიო.

ლივერპულის მერია ქალაქში ამ აქციის აკრძალვას აპირებს, რადგან უსაფრთხოება სათანადოდ არაა დაცული.

# კაჭკაჭი და ფულიანი ეშლი

**„ნიუკასლის“** სამომავლო მიზანი ასეთია: სამი წლის შემდეგ პრემიერლიგის, ხუთის შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგის მოგება. ოღონდ ჯერ კლუბი ინგლისელმა მილიარდერმა მაიკ ეშლიმ უნდა იყიდოს, რომელმაც ფული სპორტული საქონლით ვაჭრობაში იშოვა.

ეშლი 400 მილიონ გირვანქას იხდის „ნიუკასლში“. აქედან 130-ს აქციებში ხარჯავს, დანარჩენს კი შემადგენლობის გასაძლიერებლად.

ბრიტანული „სანის“ ცნობით, ბიზნესმენი ამჟამად „ნიუკასლის“ პრეზიდენტ ფრედი შეპერდს ევაჭრება, ვისაც სადღეისოდ ყველაზე მეტი აქცია აქვს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## ლუი ლორენ საა

თავდამსხმელი

დაიბადა 1978 წლის 8 აგვისტოს პარიზში

სიმაღლე: 1,81 მეტრი

წონა: 73 კგ

კარიერა: 1997-99 წლები — „მეცი“ (47 მატჩი, 5 გოლი), 1999 წელი — „ნიუკასლი“ (11 მატჩი, 1 გოლი), 2000-04 წლები — „ფულემი“ (117 მატჩი, 53 გოლი), 2004 წლიდან — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (69 მატჩი, 23 გოლი)

2004 წლიდან თამაშობს საფრანგეთის ნაკრებში (20 მატჩი, 7 გოლი)






## PORSCHE 911

გამოშვების თარიღი: 2004 წელი

სიგრძე: 4,427 მეტრი

სიგანე: 1,852 მეტრი

სიმაღლე: 1,310 მეტრი

წონა: 1 650 კგ

ცილინდრი: 6

ძრავის კუბატურა: 3,6

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 240 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში

ფასი: 73 000 დოლარი

# ბერია ცოცხალია და ლილშია

**„ლილის“** ორმა ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. გრეგორი ტაფორუ 2010 წლამდე დარჩება გუნდში, ხოლო ჟან მაკუნი — 2011-მდე.

მაკუნის ყიდვა „მანჩესტერს“ სურდა, მაგრამ 20 მილიონი ევრო დაუფასეს და ეძვირა.

ლილელებმა მომავალი სეზონისთვის უკვე დაიწყეს გაძლიერება და „მეციდან“ 24 წლის მცველი ფრანკ ბერია იყიდეს.

# ჟანი და ჟანი მორიგდნენ

**„სოშოს“** პრეზიდენტმა ჟან-კლოდ პლესისმა დაადასტურა, რომ მისი გუნდის მწვრთნელი ალენ პერენი მომავალი სეზონიდან „ლიონს“ ჩაიბარებს.

„ლიონელი კოლეგა ჟან-მიშელ ოლა დამიკავშირდა და მოვრიგდით — თქვა პლესისმა — პერენს უკეთეს კლუბში გადასვლას ვერ დავუშლიდით და წარმატებას ვუსურვებთ“.

რაც შეეხება „სოშოს“ ახალ მწვრთნელს, პერენის ადგილზე „ლემანის“ თავკაც ფრედერიკ ჰანცს ეპატიჟებიან.

# ბიჭები ნოვი სადში

**სერბულ** ქალაქ ნოვი სადში სინიშა მიხაილოვიჩის მეგობართა ნაკრებმა მილანის „ინტერთან“ 2:6 წააგო.

ამ მატჩით მიხაილოვიჩი ფეხბურთს გამოემშვიდობა. უკვე ერთი წელია, იგი რობერტო მანჩინის თანაშემწედ მუშაობს. მის გუნდში „ინტერის“ წინააღმდეგ ითამაშეს: იბრაჰიმოვიჩმა, ფიგუმ, ადრიანომ, პერუციმ, ინძაგიმ, სტოიჩკოვმა, მანჩინიმ, ჯანინიმ, მიატოვიჩმა და სინიორიმ.

მიხაილოვიჩის კარიერა „ვოივოდინაში“ დაიწყო. შემდეგ მოჰყვა „ცრვენა ზვეზდა“, „რომა“, „სამპდორია“, „ლაციო“ და „ინტერი“. სერბეთის ნაკრებში 63 მატჩში 10 გოლი შეაგდო, სერია A-ში კი საჯარიმო დარტყმებით 27 გაიტანა და რეკორდსმენი გახდა.

# ბენიტესმა ნიჭი იყიდა

**„ლივერპულმა“** მტკ-დან ორი ნიჭიერი უნგრელი იყიდა — 18 წლის კრიშტიან ნემეტი და 17-ის ანდრაშ სიმონი. რაფაელ ბენიტესმა ბიჭები შარშან, ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე ნახა და მოიხიბლა. ორივე ფორვარდია და ისინი „ლივერპულის“ სათადარიგო გუნდში ითამაშებენ.

ორი კვირის წინ კი ბენიტესმა „გრემიოდან“ 20 წლის ლუკაშ ლეიკა 5 მილიონ გირვანქად გადაიბირა. ლუკა ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრების კაპიტანია.

# მუქთა თურქი ჩემპიონს

**გერმანიის** ჩემპიონმა „შტუტგარტმა“ ილდირაი ბაშთურქი გადაიბირა, რომელსაც „ჰერტასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი იყო.

თურქმა ნახევარმცველმა ჩემპიონთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, „შტუტგარტის“ მწვრთნელმა არმინ ფეემ კი განაცხადა: „ჩვენ ძალიან გვინდოდა მისი გადმოყვანა და გვიხარია, რომ დაგვთანხმდა“.

28 წლის ბაშთურქი შტუტგარტელების მესამე შენაძენია. მათ უკვე იყიდეს მეკარე რაფაელ შეფერი „ნიურნბერგიდან“ და მცველი გლედსონი „ჰანზადან“.

# სტამბოლიდან მიმავალი იუნიჩი

**იაპონელი** ნახევარმცველი იუნიჩი ინამოტო „გალათასარაიდან“ მიდის, რადგან კონტრაქტს აღარ უხანგრძლივებენ. 27 წლის იაპონელი ამ ზაფხულს მარცხენა ფეხზე ოპერაციას გაიკეთებს და მერე მოძებნის ახალ კლუბს.

ინამოტო „გალათასარაიში“ შარშან, „ვესტ ბრომვიჩიდან“ გადავიდა, რომელიც პრემიერლიგიდან გავარდა. „ვესტ ბრომვიჩამდე“ იგი „არსენალში“ და „ფულემში“ იყო. „არსენალმა“ 2001 წელს „გამბა ოსაკადან“ იყიდა ნახევარმცველი, მაგრამ ძირითადში არ უთამაშია.

# კინს გოლები ხუთად შეუფასეს

**„ტოტენჰემის“** ირლანდიელმა ფორვარდმა რობი კინმა კონტრაქტი ხუთი წლით გააგრძელა. ეს სეზონი „მამლებში“ მისთვის ყველაზე ბარაქიანი გამოვიდა, რადგან 22 გოლი შეაგდო და გარჯაც ახალი ხელშეკრულებით დაუფასეს.

„აქ ბედნიერი ვარ და ამიტომაცაა, რომ ყველაფერი კარგად გამომდის“ — თქვა კინმა.

# ბელამის ამღვრეული მომავალი

**კრეიგ ბელამი** უახლოეს დღეებში გაარკვევს, სად გააგრძელებს კარიერას. უელსელ ფორვარდს ჩემპიონთა ლიგის ფინალში არ უთამაშია და ამის შემდეგ გაჩნდა ცნობა, რომ რაფაელ ბენიტესი მის გაყიდვას აპირებს. ბელამის ფასი დაახლოებით 12 მილიონი გირვანქაა.

უელსელს „ბლექბერნი“, „ვესტ ჰემი“ და „ასტონ ვილა“ ეპატიჟებიან.

„კარგი იქნებოდა, ზაფხული მშვიდად გამეტარებინა, მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველ ვითარებაში ვარ — თქვა ლივერპულელმა — ვიცი, რომ ყველაზე მეტად „ასტონ ვილაა“ ჩემით დაინტერესებული და, რაც შეიძლება, მალე უნდა მოვძებნო ახალი კლუბი.“

**ვაჟა ხუციშვილი**

# მე გაჩვენებთ სეირს!



## რონალდოს ძმობას ელჩობამ აჯობა

„ექვსი თვის წინ ხალხი ამბობდა, რომ ამერიკა არ უნდა ამერჩია. ამით ისინი ჩემდამი დამოკიდებულებას გამოხატავდნენ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მე ახალი თავგადასავლებისა და გამოწვევებისთვის აღარ ვვარგოდი. მათ სწამდათ, რომ მე ვეღარც „რეალში" ვითამაშებდი, მაგრამ ყველას სეირი ვაჩვენე და კიდეც ვაჩვენებ" — ასეთია ციტატა ჯერჯერობით კვლავ „რეალის", უახლოეს მომავალში კი „ლოს ანჯელეს გალაქსის" ნახევარმცველ დევიდ ბექჰემის ინტერვიუდან, რომელიც ინგლისელმა News of the world-ს მისცა. ხოლო ინგლისური ჟურნალ-გაზეთები თავიანთი ნაკრების ყოფილი კაპიტნით ხელახლა იმიტომ დაინტერესდნენ, რომ სტივ მაკლარენმა მას კვლავ უხმო ეროვნულ გუნდში.

მაშ ასე, 32 წლის ბექჰემი პარასკევს ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრას ითამაშებს, შემდეგ კი ესტონეთში გაემართება ინგლისისთვის უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩის მოსაგებად.

„ამერიკაში დრო მეტი მექნება. იქაური ჩემპიონატი 30 ტურისგან შედგება — განაგრძო ვარსკვლავმა — რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა რომ ვარ, ამაზე გაცილებით დასვენებული და მომზადებული ვიქნები. ვარჯიში კი ალბათ უფრო გამიძნელდება, რადგან იქ უფრო ცხელა და ტენიანობაც ევროპისაზე მაღალია. ასეა თუ ისე, ვგრძნობ და ვხვდები, რომ ამერიკაში გადასვლის შემდეგ ინგლისის ნაკრებში თამაშს კიდევ შევძლებ".

არადა, როგორც ირკვევა, ბექჰემს „რეალიდან" მათთან გადასვლას იტალიური და ინგლისური გუნდები სთხოვდნენ, მათ რიცხვში კი „მილანი".

ბექჰემი განაგრძობს: „იტალიიდან ორი დიდი გუნდი მეპატიჟებოდა, რამდენიმე მსურველი იყო ინგლისიდანაც, მაგრამ მე ხომ ახარგებისა და წასვლის დრო ვიგრძენი. ის, რომ მრავალი წლის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „რეალში" ვითამაშე, ჩემთვის უდიდესი პატივია, მაგრამ განსხვავებული სირთულე და გამოწვევა მომინდა, ასეთი კი, ვფიქრობ, ამერიკაში თამაშია. იქ ხომ ხალხი სულ სხვა ცხოვრების წესით ცხოვრობს. დიახ, ისიც კარგად ვიცი, რომ ამერიკაში ფეხბურთი ევროპულზე დაბალი დონისაა, მაგრამ ეს მთავარი არ არის. მე იქ მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდ კი არა, ფეხბურთის ელჩადაც მივდივარ და გამოწვევაც სწორედ ეს არის. თუ შევძლებ და, იქაურებს ფეხბურთით სიამოვნებას ვასწავლი, ჩავთვლი, რომ მისია შესრულებულია".

ესპანეთის ჩემპიონატი კი ჯერ არ დასრულებულა. „რეალი" ჩემპიონობისთვის იბრძვის და ბექჰემს 28 მატჩში მიუღია მონაწილეობა.

შეგახსენებთ, რომ შობამდე ფაბიო კაპელო მას სერიოზულად აღარ უყურებდა და მას მერე, რაც ინგლისელმა ამერიკაში გადასვლის ამბავი გამოაცხადა, თქვა, რომ საერთოდ აღარ ათამაშებდა, მაგრამ ბექჰემს დამარცხება არ სჩვევია. ის კი არ გაბრაზდა, მუხლჩაუხრელ მუშაობას შეუდგა და დღეს საუცხოო ფორმაშია. კაპელოც, რასაკვირველია, ათამაშებს და ათამაშებს.

„კაპელო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია — აცხადებს ბექჰემი — ხალხმა რაც უნდა, ის თქვას, ის საქმით ამტკიცებს თავისას. ბუნებით გამარჯვებულია და ფეხბურთელებს ენდობა".

და ბოლოს „მილანზე": „მილანში გადასვლის მაგივრად ამერიკაში მივდივარ, ეს კი მეტისმეტად მძიმე გადაწყვეტილება გახლდათ. მე ძალიან მომწონს ეს კლუბი, მისი მწვრთნელი, პრეზიდენტი ბერლუსკონი... მერე გავიგე რომ ჩემი უახლოესი მეგობარი რონალდოც იქ გადადიოდა და ამან ისედაც მძიმე ვითარება კიდევ უფრო დამიმძიმა. რონალდო ჩემი უახლოესი ადამიანია, მაგრამ გადავწყვიტე, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის ინტერესები დამეყენებინა წინ და ასეც მოვიქეცი. რონალდო კი ბოლო ხანს ძლიერ მაკლია. მერწმუნეთ, ის რომ მადრიდში ყოფილიყო, „რეალი" კიდევ უფრო სხვა ფეხბურთს ითამაშებდა".

**ბაკუნა ბედია**

## გაზას ოპერაცია დასჭირდა



**პოლ გესქოინი** კვირას, საკუთარ მე-40 დაბადების დღეზე ცუდად გახდა და სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში, სადაც ოპერაცია დასჭირდა — კუჭის წყლული აღმოაჩნდა.

თუ გახსოვთ, რამდენიმე დღის წინ გიამბეთ, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი პირველად პარასკევ საღამოს შეიქნა ცუდად, მკერდის ტკივილს უჩიოდა. მაშინ ის ჩრდილო ლონდონში, ბარნეტში შეამოწმეს. თავად კი პრესას განუცხადა, ლოთობა არაფერ შუაშია, დუბაიში რომ ვიყავი, ფეხბურთი ფეხშიშველმა ვითამაშე ცხელ ქვიშაზე და ყველაფერი იმის ბრალიაო, მაგრამ, ვაგლახ, კვირას ნიუკასლში მას მუცელი ძლიერ ასტკივდა.

ინგლისის ნაკრებში 57-ჯერ ნათამაშევ გაზას სასწრაფო დახმარების მანქანამ „გეიტსჰედი მერიოტის" წინ მიუსწრო. რაოდენ უცნაურად უნდა გეჩვენოთ, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც გესქოინს 1998 წელს ლოთი ძმაკაცი დაელუპა...

თავიდან სასწრაფომ ის ნიუკასლის მთავარ საავადმყოფოში მიიყვანა, მაგრამ იქ გაირკვა, რომ ავადმყოფს სპეც-ჩარევა სჭირდებოდა და იგი „ფრიმენ ჰოსპიტალში" გადაიყვანეს. ექიმებმა ჟურნალისტებს უამბეს, რომ დროული სამედიცინო ჩარევა რომ არა, გაზა შეიძლება, ტკივილით გამოწვეული შოკისგან მომკვდარიყო.

„პოლი დაბადების დღის ჩვეულებრივად აღნიშვნას აპირებდა, მაგრამ თავი ძალიან ცუდად იგრძნო და სასწრაფოს გამოძახება ითხოვა" — თქვა მისმა ერთ-ერთმა ამფსონმა.

წყლულის გაჩენის მიზეზად ყველა პოლ გესქოინის ლოთობას ასახელებს.

**ბაკუნა ბედია**



## პლატინი: დაიშალეთ!

**უეფას** პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ G-14-ს მოუწოდა...

„სასამართლოში სირბილს, საქმეების დამოუკიდებლად გარჩევას, სანაკრებო მატჩებში დაშავებული ფეხბურთელების სანაცვლოდ კომპენსაციის მოთხოვნას და სასამართლოებში ერთმანეთის თრევას შევეშვათ — თქვა პლატინიმ — G-14-ს ოფიციალურად მოვუწოდებ დაშლისკენ. გამოიტანონ სარჩელები და შემოგვიერთდნენ ჩვენ, რათა ნაყოფიერ, დემოკრატიულ დიალოგში მიიღონ მონაწილეობა ევროფეხბურთის ოჯახის დანარჩენ წევრებთან. კლუბების პრეზიდენტებო! უეფას კარი ღიაა და გპირდებით, ჩვენთან თანამშრომლობით არ ინანებთ".

G-14 2000 წელს თოთხმეტი ბობოლო ევროპული კლუბის გაერთიანებით შეიქმნა და უეფასგან და ფიფასგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელსაც საკუთარი ლიგის შექმნა სურს, რათა ფეხბურთი უფრო მომგებიან ბიზნესად აქციოს და უეფელებს მოგება არ გაუყოს. 2005 წლის 5 სექტემბერს ბელგიურმა „შარლერუამ" G-14-ის წაქეზებით ფიფას სასამართლოში უჩივლა. შარლერუელთა მაროკოელმა ლეგიონერმა აბდელმაჟიდ ოულმერსმა სანაკრებო მატჩში ტრავმა მიიღო და კლუბი კომპენსაციას ითხოვდა. საქმე ჯერაც არ დასრულებულა...

**ვაჟა ხუციშვილი**

## მეკარე ბექჰემს კარს უკეტავს

**პიტერ შილტონმა**, ვისაც ინგლისის ნაკრებში ყველაზე მეტი, 125 მატჩი უთამაშია, თქვა, რომ დევიდ ბექჰემს 100-ანთა კლუბში შესვლის უფლება არ უნდა მისცენ.

ბექჰემი სტივ მაკლარენმა ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა და ნახევარმცველისთვის ეს 95-ე სანაკრებო შეხვედრა იქნება. ივნისში ესტონეთთან ევრო 2008-ის შესარჩევშიც თუ ითამაშებს, 100-მდე ოთხიღა დააკლდება.

შილტონი კი ამბობს: „თუ მწვრთნელმა ერთხელ გადაწყვიტა, რომ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი არ გამოიძახოს, აზრი აღარ უნდა შეიცვალოს. მაკლარენმა შარშან იგრძნო, რომ ბექჰემი ძველებურად ვეღარ თამაშობდა და ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ შეცვალა გადაწყვეტილება".

შეგახსენებთ, რომ ბექჰემს მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ არ უთამაშია ნაკრებში.

## ბეკენბაუერმა საქმე ნახა

**ფიფას** კონგრესზე, რომელიც ამ დღეებში ციურიხში იმართება, ფრანც ბეკენბაუერს აღმასკომის წევრად აირჩევენ, როგორც უეფას წარმომადგენელს.

„ვკითხე, რა საქმე გინდა-მეთქი და მსოფლიოში ელჩად მოგზაურობა ისურვა — თქვა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა — ბეკენბაუერმა ეს საქმე იცის. ის ხომ 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის შეფი იყო და მთელი მსოფლიო მოიარა. ძალიან მეიმედება „კაიზერ ფრანცის", მისი მისია მხოლოდ ელჩობით არ ამოიწურება. დავარწმუნე, რომ იმ კომისიის უფროსობაც ითავოს, რომელიც ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და მსაჯების საქმიანობას გაუწევს კოორდინაციას".

## ბერგერი ფულთან დარჩა

**„ასტონ ვილას"** ჩეხი ნახევარმცველი პატრიკ ბერგერი ივლისში ერთი წლით გააახანგრძლივებას კონტრაქტს. გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ კლუბს ახალი, ფულიანი პატრონი ჰყავს და ფეხბურთელსაც უკეთესი მომავლის ეიმედება.

შეგახსენებთ, რომ „ასტონ ვილა" ამერიკელმა რენდი ლერნერმა შარშან იყიდა.

## გერეტსი აიბარგა

**„გალათასარაის"** მწვრთნელი ერიკ გერეტსი კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე თავისი ნებით წავიდა — 53 წლის ბელგიელმა პრეზიდენტ ოზჰან ჯანაიდინთან საუბრის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება.

გერეტსი 2005-ის ზაფხულში მივიდა „გალაში" და პირველივე სეზონში ჩემპიონი გახდა, წლეულს კი მესამე ადგილს დასჯერდა.

## ტედესკო გრძელდება

**„პალერმოს"** ნახევარმცველმა ჯოვანი ტედესკომ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა — 35 წლის ფეხბურთელს ხელშეკრულება ივნისის ბოლოს ეწურებოდა, მაგრამ კლუბმა მისი დატოვება ისურვა.

ტედესკოს „რეჯინაში", „ფიორენტინაში", „ფოჯაში", „სალერნიტანაში", „პერუჯასა" და „ჯენოაში" უთამაშია, „პალერმოში" კი 2005 წლიდანაა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დელა ვალემ ტონის ვალი მოუხადა
## ორი წლით ბაიერნში!



**ლუკა ტონიმ** ოფიციალურად დატოვა „ფიორენტინა". ახმახი ფორვარდი შაბათს 30 წლის გახდა, კვირას კი „არტემიო ფრანკიზე" „სამპდორიასთან" მატჩის შემდეგ, ფანებსაც დაემშვიდობა და ალბათ კარიერას მიუნხენის „ბაიერნში" გააგრძელებს — გავრცელებული ცნობებით, მან მიუნხენელებთან უკვე გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი, მაგრამ ეს ჯერ ოფიციალურად არ დადასტურებულა.

ტონი ფლორენციულ კლუბში 2005 წლის ზაფხულში „პალერმოდან" გადავიდა. მას „ტრევიზოში", „ვიჩენცასა" და „ბრეშაშიც" უთამაშია.

2005-06 წლების სეზონში იგი „იებს" 31 გოლით შეეწია, გახდა სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი და „ოქროს ბუცის" მფლობელი...

„ოფიციალურად ვადასტურებთ, რომ კლუბის პრეზიდენტი ანდრეა დელა ვალე შეხვდა ლუკა ტონის და მადლობა გადაუხადა მას გასულ ორ სეზონში გატანილი 49 გოლისა და საერთოდ ყველაფრისთვის, რაც მან „ფიორენტინასთვის" გააკეთა. პრეზიდენტი არ ალუდგა წინ ფეხბურთელის სურვილს და ტონის წარმატებები უსურვა" — ნათქვამია „იების" ოფიციალურ განცხადებაში.

ანდრეა დელა ვალე: „ლუკა ნამდვილი ჩემპიონი და კარგი ადამიანია. მან წასვლა გადაწყვიტა და ამას პატივი უნდა ვცეთ. ვუსურვებთ კარიერის წარმატებულად გაგრძელებას. ჯამპაოლო პაცინი და ადრიან მუტუ მომავალ სეზონებში „ფიორენტინას" წამყვანი თავდამსხმელები იქნებიან და მჯერა, ძალიან სასარგებლოდ ითამაშებენ. რა თქმა უნდა, რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ, მაგრამ ამის გარეშეც ძლიერი გუნდი გვყავს".

„ფიორენტინამ" უკვე დაიმატა ახალგაზრდა პერსპექტიული ჩეხი ნახევარმცველი იან ჰაბლე. „იებმა" 18 წლის ფეხბურთელი „ჰრადეც კრალოვედან" იყიდეს და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ეს ტრანსფერი 800 ათასი ევრო დაჯდა.

ამბობენ, „ფიორენტინა" ჩეხური „ბრნოს" მცველს ანდრეი მაზუჩის ყიდვას და მასთანაც ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებსო.

ფლორენციელთა მცველის მანუელ პასკუალის აგენტმა კი უარყო ინფორმაცია მისი კლიენტის „იუვენტუსში" შესაძლო გადასვლის თაობაზე.

**კოკი კანდელაკი**

# ჩამაცვით ოქროს ბუცი!
## ტოტის მხოლოდ ვან ნისტელროი უტევს

**ფრანჩესკო ტოტიმ** სერია A 26 გოლით დაასრულა, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და საკმაოდ პრესტიჟული ჯილდოს, „ოქროს ბუცის" მოპოვების შანსიც აქვს.

სერია A-ს ბოლო ტურში „რომამ" „მესინას" 4:3 მოუგო, ტოტიმ დუბლი გაახერხა და, როგორც ვთქვით, 26 მოუგროვდა. რადგან იტალიაში გატანილი გოლები 2 ქულად ფასობს, ახლა მას 52 ქულა აქვს და ერთით უკვე გადაასწრო ჰოლანდიის ჩემპიონატისა და „ჰერენვენის" მთავარმეგოლე ალფონსო ალვეშს, რომელმაც 34 ბურთი მიითვალა, მაგრამ ერედივიზიონში გატანილი გოლები 1,5-ად ფასდება.

ერთადერთი, ვისაც ტოტისთვის „ოქროს ბუცის" წართმევა შეუძლია, რუუდ ვან ნისტელროოა. მადრიდის „რეალის" ჰოლანდიელი ფორვარდის ანგარიშზე პრიმერადივიზიონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე 23 გოლია (46 ქულა).

თუ ტოტი „ოქროს ბუცს" მოიპოვებს, იგი ამ ჯილდოს მეორე იტალიელი მფლობელი გახდება — პირველი ლუკა ტონია, რომელმაც წინა სეზონში სერია A-ში 31 გოლი მიითვალა.

„ეს საოცარი სეზონი იყო, რომელიც ყოველთვის მემახსოვრება. ბევრი მიზეზის გამო „ინტერთან" ბრძოლა ძალიან ძნელი გახლდათ, ამიტომ, სერია A-ში მეორე ადგილიც არ არის ურიგო. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავედით, იტალიის თასი მოვიგეთ, საუკეთესო ბომბარდირი გავხდი და, შესაძლოა, „ოქროს ბუციც" მოვიპოვო" — თქვა ტოტიმ.

**კოკი კანდელაკი**





დანიელე დე როსი და მისი მეუღლე ტამარა რომიდან აბარგებას არ აპირებენ

# მილანი არ გამაგონოთ!
## რომი დე როსისთვისაც მარადიული ქალაქია

**დანიელე დე როსიმ** განაცხადა, რომ კარიერის ბოლომდე „რომაში" დარჩენა სურს. ამით „სკუადრა აძურასა" და „გლადიატორთა" ცენტრალურმა ნახევარმცველმა წერტილი დაუსვა ჭორებს, მისი შესაძლო წასვლის შესახებ.

„როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, აქ მინდა დარჩენა. რომი ჩემი ქალაქია, „რომა" კი ჩემი კლუბი. „რომადან", სადაც მეგობრებისა და ბრწყინვალე ქომაგების გარემოცვაში ვარ, შორს ყოფნა ვერ წარმომიდგენია" — თქვა დე როსიმ.

23 წლის ნახევარმცველს ბევრ გრანდს უკავშირებენ, განსაკუთრებით „მილანს". „როსონერის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თქვა კიდეც, მას დიდი სიამოვნებით დავიმატებდითო.

დე როსი: „ამ ვარიანტის განხილვაც არ მინდა. გუნდთან კონტრაქტი 2009 წლამდე მაკავშირებს და უკვე მის გახანგრძლივებაზე ვფიქრობთ. რალაც დეტალები შესათანხმებელი რომც იყოს, ამას ხელმძღვანელობასთან გავაკეთებ და არა ჟურნალისტებთან. რასაკვირველია, მსიამოვნებს სხვა გრანდების ინტერესიც. ეს თავს დიდ ფეხბურთელად მაგრძნობინებს, თუმც „რომადან" წასვლაზე გაფიქრებაც არ მინდა".

**კოკი კანდელაკი**

# ფიგუმ ფიფა შეაწუხა
## ინტერს კრესპოსაც უტოვებენ

**ვეტერანი** პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ „ალ იტიჰადში" აღარ გადავა. ყატარულ კლუბს კონტრაქტის რამდენიმე პუნქტი დაურღვევია, მათ შორის, ფინანსური. ამის გამო 34 წლის ფეხბურთელი „ალ იტიჰადს" ფიფაში უჩივის და, სავარაუდოდ, მალე თავისუფალი აგენტი გახდება. ეს კი ნიშნავს, რომ „ინტერი", რომელსაც ძალიან სურს ფიგუს შენარჩუნება, ალბათ საწადელს მიაღწევს.

— „ალ იტიჰადმა" 2007 წლის 4 იანვარს გაფორმებული კონტრაქტის რამდენიმე პუნქტი დაარღვია. ყატარულმა კლუბმა ზოგიერთი პირობა არ შეასრულა — თქვა ფიგუმ.

დიდი შანსია, „ნერაძურიმ" ერნან კრესპოც შეინარჩუნოს. ახლახან „ჩელსის" თავმჯდომარემ პიტერ კინიონმა თქვა, არგენტინელს ალბათ იტალიაში დარჩენის ნებას მივცემთო.

„ძალიან მიხარია, რომ „ჩელსიმ" გაითვალისწინა ჩემი თხოვნა და „ინტერში" ვრჩები. ზუსტად ეს მინდოდა" — განაცხადა გახარებულმა კრესპომ.

ერთ-ერთი მათგანი კი, ვინც ზაფხულში „ინტერს" დატოვებს, სავარაუდოდ, ალვარო რეკობა იქნება. ურუგვაელი „ნერაძურიში" 1997 წლიდან თამაშობს და კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის საყვარელი ფეხბურთელია, თუმცა გაუთავებელი ტრავმებისა თუ სხვა მიზეზების გამო ძირითად შემადგენლობაში, ფაქტობრივად, ვერ ხვდება და წასვლას აპირებს.

— „ტორინოსთან" მატჩი ეგებ ჩემი ბოლო თამაში იყო „ინტერის" მაისურით. ალბათ წავალ და იქნებ ეს მართლაც საუკეთესო გამოსავალია. მართალია, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ, ვფიქრობ, გუნდის გამოცვლის დროა. ოღონდ იტალიაში არ დავრჩები, „ინტერის" წინააღმდეგ თამაში ჩემთვის წარმოუდგენელია — აღნიშნა რეკობამ, ვისაც „რომა" და მადრიდის „ატლეტიკო" ეპატიჟებიან.

**კოკი კანდელაკი**



# რატომ გაგვირბიხარ, რატომ გვემალები...

## თმაგათეთრებულმა ლიპიმ შავი და თეთრი გაარჩია



**ტურინის** „იუვენტუსიდან“ დიდიე დეშანის წასვლის შემდეგ „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელად მარჩელო ლიპის დაბრუნებას ელიან, თუმცა ჭაღარა ტაქტიკოსის ბოლო განცხადებებმა ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა...

„როგორც უკვე ვთქვი, მწვრთნელობის განახლებას ჯერ არ ვაპირებ, კიდევ რამდენიმე თვე დასვენება მინდა. ბოლო დროს „იუვესთან“ დაკავშირებით გავრცელებული ჭორები უსაფუძვლოა. მით უმეტეს, რომ, თუ კლუბს ჩემთან საქმის დაჭერა სურს, უნდა დამიკავშირდეს და წინადადება შემომთავაზოს, რაც არ მომხდარა“ — აღნიშნა ლიპიმ.

იტალიური პრესა წერს, რომ, შესაძლოა, ლიპიმ ზაფხულში დაისვენოს და გუნდი ზედ სეზონის წინ ჩაიბაროს. გამორიცხული არც ისაა, მაესტრო „იუვეში“ დირექტორ-კონსულტანტად მივიდეს, ხოლო მწვრთნელად ანტონიო კონტე, ჯანლუკა ვიალი ან ჩირო ფერარა დანიშნონ.

ითქვა ისიც, რომ „იუვეს“ გენერალურმა დირექტორმა ჟან-კლოდ ბლანმა ლიპის კონტრაქტი შესთავაზა და მოსაფიქრებლად ათი დღე მისცა, თუმცა „იუვენტუსმა“ ეს ინფორმაცია უარყო.

„კლუბის დირექტორ ჟან-კლოდ ბლანს არანაირი განცხადება „იუვენტუსის“ მომავალი მწვრთნელის თაობაზე არ გაუკეთებია და არც ვარიანტები დაუსახელებია. პრესაში უსაფუძვლო ინფორმაცია გავრცელდა“ — ნათქვამია „ბიანკონერის“ ოფიციალურ განცხადებაში.

ერთადერთი, რაც ჯერჯერობით ცნობილია, ისაა, რომ „ბარისთან“ და „სპეციასთან“ სერია B-ს ბოლო ორ მატჩში „იუვენტუსს“ ჯანკარლო კორადინი უთავკაცებს, რომელიც დეშანის თანაშემწე იყო.

**გიორგი ძაძამიძე**

## მექსეშმა ჭორი მოკლა

**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, „რომას“ ფრანგმა მცველმა ფილიპ მექსეშმა კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა. ამით მექსეშმა ბოლო მოუღო ჭორებს მადრიდის „რეალში“ თუ „ინტერში“ გადასვლის თაობაზე.

რუმინელი მცველი კრისტიან კივუ კი „რომას“ ჯერჯერობით ახალ კონტრაქტზე ევაჭრება.

## გემზე დაბადებულის ოცნება

**„ლე პარიზიენის“** ცნობით, „ბორდოს“ ნახევარმცველი რიო მავუბა „იუვენტუსში“ გადადის. იგი ერთ-ერთი უძლიერესი იყო გასულ ჩემპიონატში, „ბორდოსთან“ კონტრაქტი კი 2009 წლამდე აქვს.

ფრანგული გაზეთი ამტკიცებს, რომ კლუბები უკვე მორიგდნენ 7 მილიონ გირვანქაზე და 23 წლის ფეხბურთელის ხელფასიღაა დასადგენი.

მავუბა ცნობილია იმით, რომ ანგოლის ნაპირთან გემზე დაიბადა. ამას წინათ მან განაცხადა: „იუვე“ ჩემი ოცნების გუნდია, თუმც „არსენალში“ და „რეალშიც“ სიამოვნებით ვითამაშებდი“.

„იუვენტუსი“ლიონელი ნახევარმცველით, ალიუ დიარათიცაა დაინტერესებული.

## გამაგებინეთ, აქ ვარ თუ იქ?

**დავიდ პიზაროს** აგენტი „რომას“ და „ინტერს“ სთხოვს, მალე გაარკვიონ მისი კლიენტის მომავალი.

ჩილელი ნახევარმცველი „შავ-ლურჯებმა“ შარშან ერთი წლით ათხოვეს დედაქალაქელებს და ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა „გლადიატორებში“.

„პიზარო „რომას“ და ლუჩანო სპალეტის დიდად აფასებს, რადგან აქ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდა, თუმც დარწმუნებული ვარ, „ინტერშიც“ გაუძლებს კონკურენციას. კლუბები, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მორიგდნენ, რათა ფეხბურთელი მშვიდად იყოს“ — განაცხადა აგენტმა ფერნანდო იდალგომ.

## მოცარტს რუსული ნოტები აერია

**მოსკოვის** „სპარტაკის“ ნახევარმცველი მოცარტი „ფიორენტინასთან“ პირად კონტრაქტზე მორიგდა და ამ ზაფხულს ფლორენციაში ჩავა. ბრაზილიელს რუსეთში ცხოვრება რა მოსწონს და იტალიაში დაბრუნება უნდა.

როცა მოცარტი „რეჯინადან“ „სპარტაკმა“ იყიდა, „ფიორენტინაც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მოსკოველებმა უკეთესი პირობები შესთავაზეს და ამიტომ დაყაბულდა რუსებს. ახლა კი ფულს აღარ დაეძებს, ოღონდ ისევ იტალიას მიაშუროს. „ფიორენტინა“ 4 მილიონ ევროს იხდის.

**მაჟა ხუციშვილი**



ლუიჯი დელ ნერი

პასკუალე მარინო





კლაუდიო რანიერი

# დარჩენილები

## რატომ არის რაფა ბენიტესი იტალიელი და რატომ უნდა გაგიხარდეს შინ 0:6 წაგება

**სერია A-ს** ბოლო ტური ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბოლო ადგილებზე მყოფი გუნდებისთვის: „სიენა“, „რეჯინა“, „კიევო“, „პარმა“ და „კატანია“ ლიგაში დასარჩენად იბრძოდნენ, მათგან კი ერთი უნდა გავარდნილიყო.

გეცოდინებათ, უიღბლო ლუიჯი დელ ნერის „კიევო“ გამოდგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი „კატანია“ — „კიევოს“ შეხვედრაში გადაწყდა, რომელიც სიცილიელებმა 2:0 მოიგეს.

მიუხედავად ამისა, „კატანიას“ მწვრთნელი პასკუალე მარინო მატჩის შემდეგ გადადგა. არადა, მან კლუბი ოცწლიანი პაუზის მერე დააბრუნა სერია A-ში და ადგილიც შეუნარჩუნა.

ვინ იქნება მისი შემცვლელი, ჯერ უცნობია...

„ჩემი ამოცანა ამოწურულია. გუნდში ორი ბრწყინვალე წელი გავატარე, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე და პასუხად დაფასება მივიღე. თუმცა ვთვლი, რომ წასვლის დროა. ჯობს, თავაწეული წავიდე. რაც მომეთხოვებოდა, გავაკეთე. სერია A-ში დარჩენას ვიმსახურებდით და დავრჩით კიდეც“ — თქვა 44 წლის მარინომ.

„ძალიან სამწუხაროა, რომ გავვარდით, არადა, მთლიანობაში ამას არ ვიმსახურებდით. კონკრეტულად ეს მატჩი „კატანიამ“ უკეთ ჩაატარა. იმედია, სერია B-ში მხოლოდ ერთ სეზონს გავატარებთ და მალევე დავბრუნდებით. თუ პრეზიდენტს სურს, ქვედა ლიგაშიც გავწვრთნი გუნდს, რადგან მე დანებება არ მიყვარს“ — ეს კი „მფრინავი ვირების“ თავის, ჯიჯი დელ ნერის სიტყვებია.

„კიევოს“ ლიდერი ფრანკო სემიოლი: „წინასწარ ვიცოდით სხვა მატჩების შედეგები, ეს ყველაფერი უკვე „დაწერილი“ იყო. ყველაფერი ჩვენსა და „კატანიას“ შორის უნდა გადაწყვეტილიყო და სამწუხაროდ, დავმარცხდით“. სემიოლის ნახსენებ სხვა მატჩებში კი...

„რეჯინამ“ „მილანს“ 2:0 მოუგო, „სიენამ“ „ლაციოს“ 2:1 და „პარმამ“ „ემპოლის“ 3:1.

„რეჯინას“ მწვრთნელი ვალტერ მაცარი: „ჩვენ რაღაც განსაკუთრებულს მივაღწიეთ. მინუს 11 ქულისა და სხვა პრობლემების მიუხედავად, სერია A-ში დარჩენა შევძელით“.

ამბობენ, ეს მაცარის ბოლო სეზონი იყო „რეჯინაში“, რადგან იგი გენუის „სამპდორიას“ ჩაიბარებსო...

„მინდა, ამ წარმატებით ვისიამოვნო. მაცალეთ ამ სიზმრიდან და ეიფორიიდან გამოსვლა. მერე კი გადაწყვეტილებას მივიღებ“ — დასძინა მაცარიმ.

„სიენას“ მწვრთნელმა მარიო ბერეტამ სერია A-ში დარჩენა რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილი კლუბის ყოფილი პრეზიდენტის, პაოლო დე ლუკას ხსოვნას მიუძღვნა. რაც შეეხება მომავალ სეზონს, არც ბერეტამ იცის, დარჩება თუ არა გუნდში...

„ეს მიღწევა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტ დე ლუკას ხსოვნას ეძღვნება. ამ წარმატებას ასევე ვუძღვნით მის ოჯახს და ყველას, ვინც გვქომაგობდა. როცა „ლაციომ“ მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე გაგვითანაბრა, ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ბოლო წუთები მთელი სეზონის პატარა ანარეკლი გახლდათ — უამრავი შანსი და უამრავი შეცდომა. რაც შეეხება მომავალ სეზონს და იმას, ვიქნები თუ არა ისევ „სიენას“ მწვრთნელი, ჯერ არ ვიცი, დრო გვაჩვენებს. გუნდთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს“ — განაცხადა ბერეტამ.

„მოდით, ვისიამოვნოთ იმ წარმატებით, რომელსაც ბევრი არ ელოდა და „პარმას“ გადარჩენა წარმოუდგენელი ეგონა — ამბობს პარმელთა თავკაცი კლაუდიო რანიერი — ბევრმა გიჟიც კი მიწოდა, როცა გუნდი ჩავიბარე. დიდი მადლობა ყველას და განსაკუთრებით ფეხბურთელებს“.

სხვაია დარად, არც გამოცდილმა რანიერიმ იცის, დარჩება თუ არა „პარმაში“ — მას „მანჩესტერ სიტი“ და სხვა კლუბებიც ეპატიჟებიან. ერთი კი, რაც რანიერიმ ნამდვილად იცის, ისაა, რომ სერია A ყველაზე ძლიერი და რთული ჩემპიონატია...

„ჯერ არავინ დამკავშირებია და არც მე მიმიღია რაიმე გადაწყვეტილება. სამი დღე შევისვენებ, მერე კლუბის ხელმძღვანელობას დაველაპარაკები და გადაწყვეტილებას ერთად მივიღებთ. სერია A ყველაზე ძლიერი და რთული ჩემპიონატია — ჩვენ საუკეთესოები ბევრი ფაქტორის გამო ვართ და დასამტკიცებელი არავისთვის არაფერი გვაქვს. ბევრი უცხოელი წარმატებული სპეციალისტიც ძველი, გამოცდილი იტალიური სამწვრთნელო სტილის მიმდევარია, მაგალითად, რაფა ბენიტესი“ — განაცხადა რანიერიმ.

როგორც უკვე გითხარით, კიევოელები უკმაყოფილონი დარჩნენ იმით, რომ „რეჯინამ“, „სიენამ“ და „პარმამ“ საკმაოდ ამბიციურ და სერიოზულ გუნდებს მოუგეს, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა „მფრინავი ვირების“ სერია B-ში ჩაფრენა. ვერონელებმა ისიც თქვეს, არ გაგვკვირვებია, ყველაფერი რომ წინასწარ იყო დაწერილიო...

„მსგავსი რაღაცები ყველგან ხდება. მაგალითად, ნახეთ, როგორ ქომაგობდნენ მადრიდის „ატლეტიკოს“ გულშემატკივრები „ბარსელონას“ და როგორ სთხოვდნენ მათი საყვარელი გუნდის კარში გოლების გატანას. მოგეხსენებათ, ის შეხვედრა მადრიდში გაიმართა და 0:6 მორჩა, მაგრამ ამაზე გული დიდად არავის დასწყვეტია, პირიქით — „ატლეტიკოს“ რომ არ წაეგო, ეს მის მოსისხლე მტერ „რეალს“ შეუწყობდა ხელს“ — დასძინა რანიერიმ.

**კოკი კანდელაკი**

# გერმანიამ ბრაზილია აღიარა

## დიეგო საუკეთესოა!




**ბუნდესლიგის** ფეხბურთელთა გამოკითხვის შედეგად, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ვერდერელი დიეგო დაასახელეს.

268 რესპონდენტიდან ნახევარზე მეტმა ბრაზილიელ ნახევარმცველს მისცა ხმა, გამოკითხვა კი „კიკერმა“ ჩაატარა.

მეორეზე „ბოხუმის“ და ბუნდესლიგის მთავარმეგოლე თეოფანის გეკასი გავიდა. ხოლო შტუტგარტელი ფორვარდი მარიო გომესი მესამეა.

„შალკეს“ 21 წლის მეკარე მანუელ ნოიერი საუკეთესო გოლკიპერად აღიარეს.

შეგახსენებთ, რომ დიეგოსთვის ეს პირველი ბუნდესლიგური სეზონი იყო. იგი შარშან „პორტუდან“ 6 მილიონ ევროდ იყიდეს.

**გაჩა ხუციშვილი**

# ბოლი ჯერ ბოლივიამ აუშვა

## ფიფას სიმაღლის ვეტოს ყელში ამოადენენ?

**ბოლივიის**, კოლუმბიის, ეკვადორისა და პერუს მთავრობებმა ფიფას გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. საქმე ზღვის დონიდან 2500 მეტრზე მაღლა საერთაშორისო მატჩების აკრძალვას ეხება — ფიფას „ვეტო სიმაღლეზე“ 15 ივნისს კონმებოლმა საბოლოოდ უნდა დაამტკიცოს.

როგორც ბოლივიას, ისევე კოლუმბიას, ეკვადორსა და პერუს კი საკმაოდ აქვთ სტადიონები, რომლებიც ზღვის დონიდან 2500 მეტრზე მაღლა მდებარეობენ...

ლა პასის „ერნანდო სილესი“, ბოლივიის ყველაზე ცნობილი სტადიონი, ზღვის დონიდან 3577 მეტრზე მდებარეობს და აქამდე იქ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეხვედრებს ატარებდნენ. თუმცა დიდი ფეხბურთიდან ჩამოცილების საფრთხე „კოჩაბამბას“ (2558 მ), „სუკრეს“ (2790 მ), „ორუროს“ (3702 მ) და „პოტოსისაც“ (3976 მ) ემუქრებათ.

ამ გადაწყვეტილებით გაცეცხლებულია ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი. ანდებისპირა ქვეყნის ინდიელმა თავკაცმა ფიფა მკაცრად გააკრიტიკა...

„ეს ვეტო მხოლოდ სტადიონებს არ ახებს, ფიფა მაღალმთიან რეგიონებში მდებარე ყველა ქვეყანას დისკრიმინაციას უკეთებს“ — განაცხადა მორალესმა.

პრეზიდენტის თქმით, ფიფა მთიელთა ფეხბურთიდან მოკვეთას აპირებს.

„ამბობენ, რომ ბოლივიის, კოლუმბიის, ეკვადორისა და პერუს ნაკრებები სიმაღლისა და ჟანგბადის ნაკლებობის გამო ამარცხებენ მოწინააღმდეგეებს შინაურ სტადიონებზე. მე კი გეტყვით, ვინც სიმაღლეზე იმარჯვებს, ეს მისი მაღალი დონის მაჩვენებელია, ხოლო ვისაც სიმაღლის ეშინია, მას მსოფლიო ფეხბურთში არაფერი ესაქმება“ — თქვა ბოლივიის პრეზიდენტმა.

მედიის ცნობით, მორალესი ფიფას შტაბ-ბინაში დელეგაციას გააგზავნის, რათა მსოფლიო ფეხბურთის თავკაცებს კვირას მიღებული გადაწყვეტილების უსაფუძვლობა დაუმტკიცოს.

ამბობენ, რომ შვეიცარიაში არც თავად სენიორ ევოს ჩასვლაა გამორიცხული.

ბოლივიის ფეხბურთის ფედერაციის (FBF) პრეზიდენტმა კარლოს ჩავესმა კი „რადიო პანამერიკანას“ უთხრა, ახლა ციურიხში ვარ, მალე ზეპ ბლატერს და სხვა მაღალჩინოსნებს უნდა შევხვდე და ჩვენი ქვეყნისთვის ასე „საზარალო და დამამცირებელ“ ვეტოზე უარი უნდა ვათქმევინოო...

„მომხრეები ბევრი გვყავს, სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანა, ბრაზილიისა და არგენტინის გამოკლებით, ჩვენი ქომაგები არიან. აი, რატომ იკავებენ თავს ბრაზილია და არგენტინა, ნამდვილად არ მესმის“ — აღნიშნა ჩავესმა.

**ლადო ხომერიკი**



### ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა. XXX ტური**

ბუდეიოვიცე — სლავია 1:2; იაბლონეცი — სლოვაცკო 3:1; კლადნო — პლზენი 1:1; ბოლესლავი — ლიბერეცი 4:0; პრჟიბრამი — ბრნო 0:1; სპარტა — მოსტი 5:0; ტეპლიცე — ბანიკი 1:2; ზლინი — სიგმა 1:1

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 30 | 18 | 8 | 4 | 44:20 | 62 |
| ლიბერეცი | 30 | 16 | 10 | 4 | 44:22 | 58 |
| ბოლესლავი | 30 | 17 | 7 | 6 | 48:27 | 58 |
| სლავია | 30 | 17 | 7 | 6 | 44:23 | 58 |
| ბანიკი | 30 | 12 | 10 | 8 | 42:33 | 46 |
| პლზენი | 30 | 12 | 10 | 8 | 35:29 | 46 |
| ბრნო | 30 | 13 | 7 | 10 | 35:32 | 46 |
| ტეპლიცე | 30 | 11 | 9 | 10 | 44:39 | 42 |
| იაბლონეცი | 30 | 9 | 11 | 10 | 31:32 | 38 |
| ბუდეიოვიცე | 30 | 9 | 7 | 14 | 28:46 | 34 |
| მოსტი | 30 | 5 | 16 | 9 | 31:41 | 31 |
| კლადნო | 30 | 7 | 10 | 13 | 23:36 | 31 |
| ზლინი | 30 | 5 | 12 | 13 | 21:34 | 27 |
| სიგმა | 30 | 6 | 8 | 16 | 29:43 | 26 |
| პრჟიბრამი | 30 | 3 | 12 | 15 | 15:37 | 21 |
| სლოვაცკო | 30 | 3 | 10 | 17 | 20:40 | 19 |

### ნორვეგია

**ტიპელიგა**

**VIII ტური**

ლინი 4:3 ტრომსიო
ალისუნდი 0:2 ვიკინგი
ოდ გრენლანდი 0:2 ბრანი
ლილესტრიომი 1:1 სტაბეკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილესტრიომი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:7 | 17 |
| ბრანი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:11 | 17 |
| რუსენბორგი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:12 | 13 |
| ტრომსიო | 8 | 4 | 1 | 3 | 16:13 | 13 |
| სტაბეკი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:7 | 13 |
| ვიკინგი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:11 | 12 |
| სტრიომსგოდსეტი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:13 | 12 |
| ლინი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:15 | 11 |
| ფრედრიკსტადი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:15 | 11 |
| სტარტი | 8 | 2 | 4 | 2 | 13:14 | 10 |
| სანდეფიორდი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | 8 |
| ვოლერენგა | 8 | 2 | 2 | 4 | 6:9 | 8 |
| ალესუნდი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:18 | 5 |
| ოდ გრენლანდი | 8 | 1 | 0 | 7 | 6:12 | 3 |

### შვედეთი

**ალსვენსკა**

**VIII ტური**

ჰალმსტადი 1:0 ბრომაპოიკარნა
ჰელსინგბორგი 4:1 იორებრო
გიოტებორგი 1:0 გაის
იურგორდენი 3:1 აიკ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 9 | 4 | 4 | 1 | 13:9 | 16 |
| გიოტებორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 14 |
| ჰალმსტადი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:8 | 14 |
| იურგორდენი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:7 | 13 |
| მალმიო | 8 | 3 | 4 | 1 | 11:6 | 13 |
| კალმარი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 13 |
| გეფლე | 8 | 3 | 3 | 2 | 7:8 | 12 |
| ჰამარბი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:5 | 11 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:10 | 10 |
| აიკ | 8 | 3 | 1 | 4 | 7:11 | 10 |
| გაის | 8 | 2 | 2 | 4 | 5:9 | 8 |
| ტრელებორგი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | 8 |
| იორებრო | 8 | 1 | 4 | 3 | 6:12 | 7 |
| ბრომაპოიკარნა | 8 | 1 | 3 | 4 | 8:15 | 6 |

# გილიოტი ინტერტოტოს ჩაბარდა

**„ლანსის“** მწვრთნელი ფრანსის გილიოტი გადადგა მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა ბოლო ტურში 0:3 წააგო „ტრუასთან“ და ჩემპიონთა ლიგის საგზური დაკარგა.

გილიოტი „ლანსში“ 2005-ის იანვრიდან მუშაობდა, 1982-88 წლებში კი ამ გუნდში თამაშობდა.

„წითელ-ყვითლები“ ახლა ინტერტოტოს თასზე გამოვლენ და იქიდან შეეცდებიან უეფას თასზე გადანაცვლებას.

ამასობაში კი სამმა ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი ოთხი წლით გააგრძლივა — „ლანსში“ 2011 წლამდე დარჩებიან ადამა კულიბალი, იოან დემონი და ვიტორიო ილტონი.

# ლიკენსი მესამე წრეზე

**„გენტის“** ყოფილი თავკაცი ჟორჟ ლიკენსი „მუსკრონს“ ჩაიბარებს. 58 წლის მწვრთნელი კონტრაქტს დღეს გააფორმებს. ეს მისი მესამე მისვლა იქნება „მუსკრონში“ — პირველად 1985-97 წლებში იყო და მეორედან პირველ ლიგაში აიყვანა. შემდეგ 2003-04-ის სეზონში იმუშავა და „გენტში“ წავიდა.

მისი თავკაცობით ბელგიის ნაკრებმა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

ლიკენსს „ანდერლეხტში“ და „ბრიუგეშიც“ უმუშავია...

# კალმარი, არი, ალკმაარი

**ლუის ვან გაალის** „ალკმაარმა“ შვედური „კალმარიდან“ ბრაზილიელი ფორვარდი არი (სრული სახელი არისლენეშ და სილვა ფერეირა) შეიძინა.

„ჰერენვენს“, „ჰამბურგსა“ და „რასინგს“ 21 წლის მეგოლის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ „ალკმაარმა“ ყველას დაასწრო.

ლუის ვან გაალმა მისი თამაში და გოლები რამდენჯერმე ნახა და ძალიან მოეწონა. არიმ ჰოლანდიურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა და შვედეთის ჩემპიონატის ბოლოს ჩააკითხავს „ალკმაარს“.

# ახტისგან ცხვირგატეხილი

**ჰოლანდიის** ნაკრებისა და პსვ-ს მცველ იან კრომკამპს ცხვირი გაუტეხეს.

გასულ შაბათს პსვ-მ ამხანაგურ მატჩში „ახტს“ 7:1 მოუგო. ნამატჩევს კრომკამპი ავტოსადგომზე მივიდა, სადაც ვიღაცები თავს დაესხნენ და ცხვირში მოარტყეს. ღამე ფეხბურთელმა საავადმყოფოში გაატარა და ეს ამბავი კლუბმა ორშაბათსღა გაამხილა.

პოლიციამ დამნაშავეები ჯერჯერობით ვერ დაიჭირა...

# მუტკომ ტრადიცია დაარღვია

**მოსკოვის** „ლოკომოტივს“ მეხუთედ მოგებულ რუსეთის თასს სამუდამოდ არ გადასცემენ. ადრე ასეთი წესი იყო, მაგრამ ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ შეცვალა.

„ვფიქრობ, ეს არასწორია — თქვა მუტკომ — თასი ერთი იქნება და ერთი წელი დარჩება მფლობელთან, მომავალი ფინალის წინ კი კავშირის ოფისში დაბრუნდება. კლუბს დარჩება მისი პატარა ასლი. უახლოეს დღეებში წესს ოფიციალურად შევცვლით. თასი ის ჯილდოა, რომელმაც ყველა ჩვენგანზე დიდხანს უნდა „იცოცხლოს“.

# ემვედე ჭკუას დაარიგებს

**რუსეთის** კლუბებს მალე თითო-თითო „დამრიგებელი“ ეყოლება შინაგან საქმეთა სამინისტროდან. მინისტრის მოადგილე ალექსანდრ ჩეკალინის აზრით, შსს-ის პოლკოვნიკები ან პოდპოლკოვნიკები კლუბთა შეფებს და ქომაგებს რეგულარულად შეხვდებიან და მათი ამოცანა ფანთა შორის ჩხუბის აღმოფხვრა იქნება.

ეს დაახლოებით „სკოლის ინსპექტორის“ მსგავსი პროექტია და თავიდან იმ ქალაქებში განხორციელდება, რომლის მოსახლეობაც 100 ათას აჭარბებს.

# ფრიდრიხი გავარდა-ამოვარდა

**გერმანიის** ნაკრების და „მაინცის“ მცველი მანუელ ფრიდრიხი „ლევერკუზენში“ გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 27 წლის ფრიდრიხს ნაკრებში შვიდჯერ უთამაშია და იოახიმ ლიოვმა ივნისში გასამართი მატჩებისთვისაც გამოიძახა.

მიუხედავად იმისა, რომ „მაინცი“ გავარდა, მცველმა განაცხადა, რომ გაუძნელდა გუნდის დატოვება, სადაც კარიერა დაიწყო.

„ლევერკუზენი“ მეხუთე ადგილზე გავიდა და უეფას თასზე ითამაშებს.

კლუბმა ფრიდრიხამდე თეოფანის გეკასი, ლუკაშ სინკევიჩი და ჩილელი პარტურო ვიდალი იყიდა.

# სავიოლა და ესკერო მორჩა

**„ბარსელონას“** ხავიერ სავიოლა და სანტი ესკერო სეზონის ბოლოს დატოვებენ და კატალონიური გრანდი ახალი თავდამსხმელების ყიდვაზე ფიქრობს.

ლაპარაკია არსენალელ ტიერი ანრიზე, ბაიერნელ როი მაკაიზე და ვილიარეალელ დიეგო ფორლანზე. კატალონიური „სპორტი“ ამტკიცებს, რომ ამ სამიდან ერთ-ერთს გაისად „კამპ ნოუზე“ უეჭველად ვიხილავთ.

**გაჩა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 22:15 | 233 | ბელინცონა-აარაუ | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | ბელგია. პლეი ოფი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 231 | მეხელენი-ანტვერპენი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:30 | 232 | ლიერსი-კორტრაიკი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 58 | კოშიცე-ნიტრა | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 19:00 | 59 | პეტრჟალკა-ბ.ბისტრიცა | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 19:00 | 60 | სლოვანი-სინეცი | 1.22 | 5.20 | 8.30 | 1.00 | 1.06 | 3.19 |
| 19:00 | 61 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 1.46 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.17 | 2.25 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 21:00 | 107 | პეკენი-იონკოპინგი | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| | | ურუგვაი | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 421 | უონდერერსი-დეფენსორი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 22:30 | 422 | ბელა ვისტა-ნასიონალი | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 23:45 | 423 | პენიაროლი-დანუბიო | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 175 | საბერძნეთი-უნგრეთი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 16:00 | 176 | ყაზახეთი-სასომხეთი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 18:00 | 177 | უელსი-ჩეხეთი | 4.70 | 3.30 | 1.70 | 1.93 | 1.24 | 1.12 |
| 19:00 | 178 | რუსეთი-ანდორა | 1.01 | 12.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 8.57 |
| 20:00 | 179 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 12.00 | 5.10 | 1.22 | 3.57 | 1.10 | 1.00 |
| 20:00 | 180 | ისლანდია-ლიხტენშტაინი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 20:15 | 181 | ფინეთი-სერბეთი | 2.85 | 3.10 | 2.45 | 1.48 | 1.31 | 1.36 |
| 21:00 | 182 | გერმანია-სან მარინო | 1.01 | 11.00 | 40.00 | 1.00 | 1.00 | 8.62 |
| 21:30 | 183 | მაკედონია-ისრაელი | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| 22:00 | 184 | ბელარუსი-ბულგარეთი | 2.95 | 3.10 | 2.35 | 1.51 | 1.30 | 1.33 |
| 22:00 | 185 | ბოსნია-თურქეთი | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 22:00 | 186 | დანია-შვედეთი | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 22:00 | 187 | ნორვეგია-მალტა | 1.12 | 6.30 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.79 |
| 22:30 | 188 | ალბანეთი-ლუქსემბურგი | 1.12 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.04 | 4.36 |
| 22:30 | 189 | ესტონეთი-ხორვატია | 8.00 | 4.00 | 1.40 | 2.66 | 1.19 | 1.03 |
| 22:30 | 190 | ლატვია-ესპანეთი | 9.00 | 4.50 | 1.32 | 3.00 | 1.15 | 1.02 |
| 22:45 | 191 | ბელგია-პორტუგალია | 4.20 | 3.20 | 1.85 | 1.81 | 1.28 | 1.17 |
| 22:45 | 192 | ფარერები-იტალია | 30.00 | 12.00 | 1.02 | 8.57 | 1.00 | 1.00 |
| 22:45 | 193 | სლოვენია-რუმინეთი | 3.80 | 3.10 | 1.95 | 1.70 | 1.28 | 1.19 |
| 23:00 | 194 | საფრანგეთი-უკრაინა | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 153 | ავსტრია-შოტლანდია | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 155 | ინგლისი-ბრაზილია | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| 23:45 | 156 | ავსტრალია-ურუგვაი | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 15:00 | 157 | სამხრეთ კორეა-პოლანდია | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 164 | პერუ-ეკვადორი 6 | 3.20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 166 | იტალია(21)-ალბანეთი(21) | 1.10 | 7.00 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.55 |
| 14:00 | 167 | მოლდოვა (21)-ჩრდ. ირლანდია(21) | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 14:00 | 168 | უკრაინა(21)-თურქეთი(21) | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 22:45 | 169 | საფრანგეთი(21)-რუმინეთი(21) | 1.45 | 3.80 | 5.70 | 1.04 | 1.15 | 2.27 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 170 | ბელარუსი(21)-უნგრეთი(21) | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 14:00 | 171 | ხორვატია(21)-ფარერები(21) | 1.05 | 8.30 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 5.06 |
| 14:00 | 172 | საბერძნეთი(21)-აზერბაიჯანი (21) | 1.13 | 6.20 | 11.00 | 1.00 | 1.02 | 3.96 |
| 14:00 | 173 | სერბეთი(21)-ლატვია(21) | 1.37 | 4.00 | 6.50 | 1.02 | 1.13 | 2.47 |
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 174 | ესტონეთი(21)-ნორვეგია(21) | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| | | სამხრეთ ამერიკის სუპერ თასი (პირველი მატჩი) | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 425 | პაჩუკა(მექს)-ინტერნასიონალი(ბრაზ) | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები(19) | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 210 | ნორვეგია 19-აზერბაიჯანი 19 | 1.30 | 5.00 | 7.00 | 1.03 | 1.09 | 2.91 |
| 21:00 | 211 | ესპანეთი 19-ისლანდია 19 | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 21:30 | 213 | სერბია 19-დანია 19 | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 214 | იტალია 19-შვედეთი 19 | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | პოლონეთი თასი | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 207 | კორონა-ბელხატოვი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 230 | გროცლინი-ზაგლებე | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | ბრაზილიის თასი | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 424 | ფლუმინენსე-ფიგეირენსე | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 419 | გრემიო-სანტოსი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 420 | კუკუტა-ბოკა ხუნიორსი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 318 | ბერდინა-გალოვიცი | 2.10 | 1.60 |
| 13:00 | 325 | პეერი-კანეპი | 1.10 | 5.50 |
| 13:00 | 326 | შრუფი-კუდრიავცევა | 1.70 | 1.90 |
| 13:00 | 329 | დულკო-ხსიე სუ ვეი | 1.22 | 3.65 |
| 13:00 | 330 | პენეტა-პრატი | 1.25 | 3.50 |
| 13:00 | 331 | საფაროვა-ბეიგელზიმერი | 1.05 | 6.50 |
| 13:00 | 333 | დუშევინა-პინი | 1.45 | 2.50 |
| 13:00 | 334 | სრებოტნიკი-ა როდიონოვა | 1.17 | 4.20 |
| 13:00 | 335 | აზარენკო-კნაპი | 1.20 | 4.00 |
| 13:00 | 336 | ა ბონდარენკო-ბენეშოვა | 1.15 | 4.90 |
| 13:00 | 337 | კ ბონდარენკო-ონდრაშკოვა | 1.25 | 3.50 |
| 13:00 | 338 | ვაკულენკო-ოლარუ | 1.30 | 3.00 |

### ჩოგბურთი ქალები
### Roland Garros. 30 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 339 | განტუხოვა-კოსტანიჩი | 1.05 | 6.50 |
| 13:00 | 340 | დანილიდუ-პუჩკოვა | 1.50 | 2.30 |
| 13:00 | 341 | დეში-ვოზნიაცკი | 1.45 | 2.40 |
| 13:00 | 342 | დომინგეს ლინო-კრეიბასი | 1.35 | 2.50 |
| 13:00 | 343 | ივანოვიჩი-არვიდსონი | 1.05 | 8.00 |
| 13:00 | 344 | კუზნეცოვა-ბიჩკოვა | 1.02 | 8.00 |
| 13:00 | 345 | ლიხოვცევა-ჩან იუ ჯი | 2.00 | 1.70 |
| 13:00 | 346 | მედინა გარიგესი-ლეპჩენკო | 1.05 | 7.00 |
| 13:00 | 347 | მირზა-ბრიანტი | 1.60 | 2.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 348 | მორესმო-გრენვილი | 1.02 | 8.00 |
| 13:00 | 349 | მიულერი-დე ლოს რიოსი | 1.35 | 2.40 |
| 13:00 | 350 | პუჩეკი-ფედოსოვა | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 351 | სავაი-კრემერი | 1.40 | 2.50 |
| 13:00 | 352 | სუგიამა-ბირნეროვა | 1.15 | 4.30 |
| 13:00 | 353 | ტუ-ოპრანდი | 1.65 | 2.00 |
| 13:00 | 354 | ციბულკოვა-ტ სუნი | 1.35 | 2.70 |
| 13:00 | 355 | ჩაკვეტაძე-მოლიკი | 1.10 | 5.00 |
| 13:00 | 356 | შარაპოვა-ლუა | 1.12 | 4.90 |
| 13:00 | 357 | შნიდერი-სუხა | 1.02 | 9.00 |
| 13:00 | 358 | შონესი-მიკინა | 1.45 | 2.40 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# პოლონური ჟცირკი, ბაზალეთი და ცხელი ზაფხული

საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებს ივლისში ორი სერიოზული ტურნირი ელის. 6-8 ივლისს ჯემალ ნათელაშვილის გუნდი ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებს, 21-28-ში კი — ბავშვთა ოლიმპიურ თამაშებზე. საზაფხულო შემადგენლობაში მოსახვედრად ნაკრების კანდიდატები საერთაშორისო ტურნირებზე გამოვიდნენ. ბოლო მათგანი გასულ უქმეებზე, პოლონეთის ქალაქ ჟცირკში ჩატარებული პირველობა იყო და გუშინ პოლონეთიდან დაბრუნებულ ჯემალ ნათელაშვილთან საუბარი სწორედ ამით დავიწყეთ



— პოლონური ტურნირი ბიჭებისთვის დასკვნითი გამოცდა იყო ევროპის ჩემპიონატის. მასზე გამოსვლას განსაკუთრებული ყურადღება ამიტომაც ეთმობოდა. თერთმეტკაციანი შემადგენლობით სამი მედალი მოვიპოვეთ. გიორგი მერმანიშვილი (73კგ) ჩემპიონი გახდა ზვიად კაპანაძე (60კგ) და ზებედა რეხვიაშვილი (66კგ) კი მესამე ადგილებზე გავიდნენ. ამ სამეულის და მთლიანად გუნდის ჭიდაობით ძალიან კმაყოფილი ვარ. შეჯიბრში 25 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა.

— ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობა უკვე გარკვეულია?

— საბოლოო შემადგენლობას მხოლოდ მას მერე დავასახელებ, რაც მწვრთნელთა საბჭო შეიკრიბება და ამ საკითხზე დაწვრილებით იმსჯელებს. ისე, მთავარი ბირთვი უკვე გამოკვეთილია.

— მაინც რომელ წონებში?

— 50, 60, 66, 73, 90 და +90 კილოგრამ წონით კატეგორიებში ლიდერები უკვე გამოიკვეთნენ. ალბათ აქ ბევრი სალაპარაკო არც გვექნება. ძირითადად 55 და 81 კილოგრამებზე მოგვიწევს ფიქრი.

— ევროპირველობაზე და ბავშვთა ოლიმპიადაზე რა შედეგს ელით?

— ნაკრები თითქმის მთლიანად გადახალისდა. შემადგენლობაში ბევრი ისეთი ახალი სახეა, რომლებსაც საერთაშორისო ტურნირებზე ჭიდაობის გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ ამის მიუხედავად, უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

— ევროსამზადისს როგორ გააგრძელებთ?

— შეჯიბრი ივლისამდე აღარ გვექნება. 18-19 ივნისს ბაზალეთში ავალთ და ორკვირიან დასკვნით შეკრებას გავივლით, რომელშიც, სავარაუდოდ, ოცდაათამდე ძიუდოისტი მიიღებს მონაწილეობას.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჭიდაობა

# იზმირში მედლების რვეული შეივსო

**თავისუფალი** და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრებები გუშინ თურქეთიდან მედლებით დატვირთულები დაბრუნდნენ. იზმირის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ნუგზარ სხირელისა და ლადო ადეიშვილის გუნდებმა ოთხ-ოთხი მედალი მოიპოვეს. აქედან სამ-სამი ოქროსა და ბრინჯაოსია, ორიც — ვერცხლის.

თავისუფლებში ყველაზე უკეთ გიორგი ედიშერაშვილი (55 კგ) და გოჩა ლომთათიძე (74 კგ) გამოვიდნენ — ორივე ჩემპიონი გახდა. ლევან მეტრეველმა (50 კგ) ფინალში წააგო, ხოლო მძიმეწონოსანი გიორგი ნიკურაძე ბრინჯაოს დასჯერდა.

კლასიკოსებში წაუგებლად მხოლოდ სერგო ნინუამ (84 კგ) იჭიდავა. გენადი ხელიამ (96 კგ) გადამწყვეტ ბრძოლაში დაკარგა ჩემპიონობა. ამავე წონაში სოსო ჯაბიძე მესამე ადგილზე გავიდა. ბრინჯაო ირგუნა 74-კილოგრამიანმა ბექა როყვამაც.

ახალგაზრდულ ნაკრებებს სეზონის უმთავრესი ტურნირი ორ თვეში ელით. 27-30 ივლისს სერბეთის მთავარქალაქი ბელგრადი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს და იზმირული პირველობაც მისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი ბოლო ეტაპი იყო. სხირელის გუნდმა სულაც თურქეთში დაასრულა სატურნირო სამზადისი. ადეიშვილის ბიჭები კი დასკვნით რეპეტიციას ამ უქმეებზე ერევანში გაივლიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კალათბურთი



ერთი წლის წინ A დივიზიონში თამაშის უფლება დავით უსტიაშვილმა 1986 წელს დაბადებული კალათბურთელებით მოიპოვა

# უნდა დავრჩეთ!

## უსტიაშვილმა ახალგაზრდები საევროპოდ დარაზმა

საკალათბურთო სეზონი დასრულდა, მაგრამ ახალგაზრდული ნაკრებისთვის მთავარი ამბები ახლა იწყება. შარშან ზაფხულში ჩვენმა ოცწლამდელებმა პორტუგალიაში გმირულად მოიპოვეს A დივიზიონის საგზური და დამდეგ ივლისს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ. აქამდე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ფინალურ სტადიაზე არასდროს უთამაშია, რაც დიდი წარმატება და თავისებური გამოწვევაა დავით უსტიაშვილის გუნდისთვის. ტურნირი 6-15 ივლისს სლოვენიურ ნოვა გორიცაში გაიმართება და ჯგუფში ქართველთა მეტოქეები იქნებიან იტალია, ლატვია და ბულგარეთი. უსტიაშვილს ნაკლები სადარდებელი ექნებოდა, სლოვენიაში ის შემადგენლობა რომ ჰყოლოდა, რომლითაც შარშან პორტუგალიაში იპირველა, მაგრამ ასაკობრივი ცენზის გამო საქართველოს ნაკრები გვარიანად გაიცხრილა. გუშინ დავით უსტიაშვილს რომ შევეხმიანეთ, საუბარი სწორედ ამ თემით დაიწყო...

— ჩვენი ნაკრები რომ ფინალურ ეტაპზეა, ეს ძირითადად 1986 წელში დაბადებული ბიჭების დამსახურებაა. ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე- ამათ და სხვა 86-იანებმა შარშან პორტუგალიაში დიდებულად ითამაშეს, მაქსიმუმი გაიღეს და ნაკრები A დივიზიონში გადაიყვანეს. სამწუხაროა, რომ წლეულს ისინი ვეღარ დაგვეხმარებიან, რადგან 20 წელს გადააბიჯეს და ახალგაზრდულ ჩემპიონატში თამაში აეკრძალათ. ამ თაობამ დიდი საქმე გაუკეთა ქართულ კალათბურთს — კადეტთა ასაკიდან მოყოლებული, ისინი სისტემატურად მონაწილეობდნენ ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე. მანუჩარ მარკოიშვილს შარშან პორტუგალიაში ტრავმის გამო არ უთამაშია, თუმც ის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში. მინდა, მათ მადლობა ვუთხრა და წარმატება ვუსურვო ეროვნულ ნაკრებში.

— რა გამოდის, ეს ახალგაზრდული ნაკრები განწირულია კვლავ B დივიზიონში ჩამოსაქვეითებლად?

— არა, რა თქმა უნდა. ჩვენი მიზანი სწორედ A დივიზიონში დარჩენაა და თუ ძალიან მოვინდომებთ, ეს მიუღწეველი სულაც არაა. შარშანდელი გუნდიდან 4 მოთამაშე შემოგვრჩა: რევაზ დიდია, მიხეილ ბერიშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი და მიხეილ ჭოჭუა. ამათ ჯერ არ შესრულებიათ 20 წელი და სლოვენიაში დაგვეხმარებიან.

— ვინ იქნებიან დანარჩენები?

— საბოლოო შემადგენლობა ჯერ არაა ცნობილი, თუმც 15 კანდიდატი უკვე შერჩეულია და აქედან 12 დარჩება. ხსენებული ოთხეულის გარდა კანდიდატები არიან: ლევან ცეკვავა, ბექა წივწივაძე, ლაშა ფარლალავა, გიორგი გულისაბედაშვილი, რიჩარდ მათიაშვილი, ლუკა ნოზაძე, დავით ჯგერენაია, გიორგი პირველაშვილი, ირაკლი ფაცაცია, ლექსო ლაფანაშვილი და გიორგი შერმადინი.

— როდის შეირჩევა ძირითადი შემადგენლობა?

— 4 ივნისს შევიკრიბებით და დაახლოებით 2 კვირაში ყველაფერი გაირკვევა.

— მოსამზადებელ ეტაპს სად გაივლით?

— ამ ეტაპზე უცხოური შეკრება არ იგეგმება. ისე კი არაა გამორიცხული, რომ საზღვარგარეთ სპარინგ-მატჩების სათამაშოდ მოგვიწიოს წასვლა. მოლაპარაკება მიმდინარეობს რამდენიმე ქვეყნის ფედერაციასთან და მალე გაირკვევა, ვის შევხვდებით. თუ ჩვენ არ წავალთ, სხვები ჩამოვლენ.

— სავარაუდოდ, თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, ვის შეხვდებით?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ყველაზე რეალური უკრაინელ ახალგაზრდებთან გაჯიბრებაა. ამხანაგური მატჩების გამართვა აუცილებელია და რაც უფრო მეტი იქნება, მით უკეთესი. ეს ახალი გუნდია, ბიჭებს შეთამაშება სჭირდებათ, რაც სწორედ ამხანაგური მატჩებშია შესაძლებელი.

— რას იტყვით მეტოქეებსა და შანსებზე?

— ჯგუფში გვყავს იტალია, ლატვია და ბულგარეთი. თქმა არ უნდა, რომ იტალია ფავორიტია. ლატვიამ შარშან სულაც ფინალში ითამაშა. მათ რამდენიმე კალათბურთელი ჰყავთ, რომლებთანაც ჩვენს ჭაბუკებს უთამაშიათ 3 წლის წინ. ერთი სიტყვით, ყველა მეტოქე ძლიერია და მაქსიმალური მობილიზება გვმართებს, ჯგუფიდან რომ გავიდეთ. ამისთვის საჭიროა მინიმუმ მესამე ადგილზე გასვლა და თუკი ეს მოვახერხეთ, A დივიზიონში ადგილს შევინარჩუნებთ. ჯგუფში ბოლო, მეოთხე ადგილის დამკავებელი გუნდი დანარჩენი ჯგუფების სამ უიღბლოსთან ერთად ელიტაში დასარჩენი 2 ადგილისთვის იბრძოლებს. ვეცდებით, საქმე აქამდე არ მივიყვანოთ და ჯგუფური ეტაპის დასრულებისთანავე გავინაღდოთ ევროპის უძლიერესთა შორის დარჩენა.

**ირაკლი ჰერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# PLAYOFFS 2007

# აირია მორმონთა მონასტერი

28 მაისი

## დასავლეთის ფინალი

### სან ანტონიო 3:1 იუტა

**იუტა 79:91 სან ანტონიო**

იუტა: ფიშერი (9), უილიამსი (27 ქულა, 10 პასი), კირილენკო (9), ბუზერი (18), ოქურ<br>ი (7); გირიჩეკი (4), ჰარპრინგი (2), მილსაპი (2), კოლინზი (1), ბრაუნი

სან ანტონიო: პარკერი (17), ფინლი (13), ბოუენი (7), დანკანი (19), ობერტო (11 ქულა, 11 მოხსნა); ჯინობილი (22), ჰორი (2), ვონი, ელსონი



დერონ უილიამსის „იუტამ" ტონი პარკერის „სან ანტონიოს" უხეშობის გარდა ბევრი ვერაფერი დაუპირისპირა

**თქვენ გგონიათ,** ტრიბუნებიდან მხოლოდ საქართველოში ცვივა საგნები? ცხადია, ამ საქმეში ქართველები პიონერები არ ვართ, არგენტინაში ორი გუნდის „ქომაგები" ერთი ტრიბუნიდან მეორეზე ერთმანეთს თოფებს ესვრიან, მაგრამ ვთქვათ, ხურდა ფული ნბა-ს მოთამაშეებსაც თუ უქმნიდა თავის გატეხვის საფრთხეს, პალალად გეტყვით, ძნელად წარმოგვედგინა. მართალია, იუტა პროვინციულ შტატად ჩაითვლება და სოლტ ლეიკ სიტი ბოსტონი არაა, მაგრამ მაინც ამერიკაა. სანაანტონიოელი ბრიუს ბოუენი კი ნამატჩევს გაოცებული ამბობდა, ნაყინი კი მიყვარს, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი, თავში მისი მოხვედრა ასე არასასიამოვნო თუ იქნებოდაო.

ბოუენს ნაყინი მოარტყეს, სხვებს არაფერი მოხვედრიათ, მაგრამ „სფურზის" მეორე მწვრთნელს ფეხი აუსხლტა ძირს დაგდებულ მონეტაზე. მორმონთა მონასტერი, „დელტა სენთერი" ბოლო მეოთხედში აირია, როცა „სან ანტონიოს" უპირატესობა გამოიკვეთა და „იუტამ" მარცხს ჩახედა თვალებში. გჯერათ? აქამდე „სან ანტონიოს" სოლტ ლეიკ სიტიში საპლეიოფო თამაში არასოდეს მოეგო, 1994, 96 და 98 წლებში ითამაშა და რვაჯერვე დამარცხდა.

„დელტა სენთერის" ჰაერი მხუთავი აირივით რომ მოქმედებს სტუმარ გუნდებზე, ეს წლევანდელ პლეიოფშიც ჩანს — „ჯაზს" შინაური მარცხის სიმწარე ჯერ არ ეგემა და ახლა „სან ანტონიოსთან" დამარცხების პერსპექტივამ გაახელა „ჯაზმენები". მანამდე მთელი სერია კორექტულად მიედინებოდა და მოთამაშეები დიდი-დიდი სათამაშო სიტუაციაში ბლოკებს თუ აყენებდნენ, ახლა კი იუტელები ლამის ჩხუბზე გადავიდნენ. გარღვევაზე წასული სანანტონიოელი იუტელმა კარლოს ბუზერმა უხეში ჯარიმით დაბლა დასცა. შემდეგ შეტევაში იმავ ბუზერმა მომცრო ტონი პარკერი დაიტანა, რამდენიმე წამის შემდეგ კი ტიმ დანკანი ლამის ისევ დაასახიჩრა.

სხვა იუტელები ბოხვერა ბუზერივით ვერ კაფავდნენ მეტოქეს, მაგრამ ისე ანერვიულდნენ, რომ მარტო ბოლო მეოთხედში ოთხი ტექნიკური ჯარიმა „მოიპოვეს". მწვრთნელმა ჯერი სლოუნმა საერთოდ გააგდებინა მსაჯებს თავი. ხალხი ხომ ტრიბუნებზე ბობოქრობდა და იქიდან წვრილმან საგნებს აწვიმებდა სტუმრებს. ყოველივეს შედეგად კი საკალათბურთო რიტმიდან ამოვარდნილმა „იუტამ" საკუთარ თავს თვითონ წაართვა გამარჯვების და სერიაში ანგარიშის გათანაბრების შანსი.

„იუტას" მთავარ დამსჯელად „სან ანტონიოს" არგენტინელი მსროლელი მანუ ჯინობილი მოევლინა, ვინც ბოლო მეოთხედში 15 ქულა გააკეთა და აქედან 11 საჯარიმოებით მოინაგრა. ჯინობილის 11-ს 5 ჯარიმა მიამატა ტიმ დანკანმა, სულ კი „სფურზმა" ბოლო მეოთხედში 19 (!) საჯარიმო ჩააგდო და ამ პერიოდის 28:17 მოგების წყალობით სერიაში 3:1 დაწინაურდა.

ამ წაგებით „იუტამ" პრაქტიკულად დათმო სერია. მეხუთე მატჩს სან ანტონიო მასპინძლობს, სადაც „ჯაზმენებს" 1999 წლის შემდეგ ანუ ზედიზედ 18 თამაშია, არ მოუგიათ და ძნელი დასაჯერებელია, ეს ყინული ახლა დაძრან.

**კოტე ყორშია**

## დალასს ტერი აღარ უნდა



**დიდი შანსია,** „დალასის" უკანახაზელმა ჯეისონ ტერიმ ტეხასური გუნდი დატოვოს. პლეიოფის პირველი რაუნდიდან დალასელთა გამოვარდნაში სწორედ ტერის ადანაშაულებენ. მან „გოლდენ სტეიტის" გამთამაშებელ ბაირონ დევისს ვერაფერი მოუხერხა. ტეხასელებმა უკვე წამოიწყეს მოლაპარაკება ტერის გაცვლასთან დაკავშირებით.

## მაიამი ვეტერანებს ელაპარაკება

**ამ დღეებში** „მაიამის" მთავარი მწვრთნელი პატ რაილი გუნდის ვეტერანებს — ალონზო მურნინგს, გერი პეიტონსა და ედი ჯონსს შეხვდება, რათა გაარკვიოს, ამთავრებენ თუ არა ისინი კარიერას. სამეული ხშირად ახსენებდა, რომ ეს სეზონი მათ კარიერაში ბოლო იქნებოდა და კლუბის ხელმძღვანელობასაც აინტერესებს, ვინ აპირებს სიტყვის შესრულებას, რათა დრაფტზე ასაყვანი ახალგაზრდების ვინაობა განსაზღვროს.

## არავითარი პაპალუკასი



**„მაიამი ჰითის"** ხელმძღვანელობამ ოფიციალურად უარყო ცნობა, თითქოს მოსკოვის ცსკა-ს ბერძენი უკანახაზელის თეოდორას პაპალუკასისთვის კონტრაქტი შეეთავაზებინოს. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ფლორიდულ გაზეთ „სან სენტინელში" დაიბეჭდა მაიამელთა პრესცენტრის ხელმძღვანელის ინტერვიუ, სადაც იმაზე იყო საუბარი, რომ „ჰითის" პაპალუკასით იყო დაინტერესებული.

## ნოჩიონიმ ნაკრები უარყო

**„ჩიკაგო ბულზის"** არგენტინელმა ფორვარდმა ანდრეს ნოჩიონიმ თავისი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართა, რომ ის ამ ზაფხულს ეროვნულ ნაკრებში არ გამოიძახონ. არგენტინა ამერიკის ჩემპიონატისთვის ემზადება და, ცხადია, ნოჩიონისაც ელოდებოდა, მაგრამ...

„მას შემდეგ, რაც არგენტინის ნაკრებში დებიუტი მქონდა, ერთხელაც არ მითქვამს იქ თამაშზე უარი, მაგრამ ახლა დასვენება მჭირდება. გაზაფხულზე ურთულესი ტრავმა მივიღე და ეს ზაფხული სარეაბილიტაციოდ მჭირდება" — აცხადებს ნოჩიონი.

## სპანულისი ევროპაში ბრუნდება

**„ჰიუსტონის"** ბერძენი უკანახაზელი ვასილის სპანულისი კარიერის ევროპაში გაგრძელებას აპირებს. როგორც ითქვა, ეს მისი ოჯახური პრობლემების ბრალია. სპანულისით უკვე დაინტერესდა ევროლიგაში ახლახან გაჩემპიონებული ათენის „პანათინაიკოსი" და ასევე ერთ-ერთი წამყვანი რუსული კლუბი, რომლის სახელიც არ კონკრეტდება.



# არმაზისთვის მორკინალმა საფრანგეთი იუარა

რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის სამი ტური მიილია, დებიუტანტმა „არმაზმა" კი ოდენ ერთი თამაში მოიგო. არცთუ კარგი შედეგის მიუხედავად, გუნდშიც და მთელ ჩემპიონატშიც „არმაზის" ჰუკერი **გიორგი სოსელია** კარგი თამაშით გამოირჩევა. მას თითქმის საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია, გარდა ეროვნული გუნდისა. გიორგის მესამე ტურის დამთავრების შემდეგ „არმაზზე", მის მომავალ გეგმებზე და საქართველოს ჩემპიონატზე ვესაუბრეთ...



— უმაღლესი ლიგის დებიუტანტები ხართ. მოგვიყევი „არმაზის" შესახებ, როგორ მოხვდით უმაღლეს ლიგაში?

— ჩვენი გუნდის ისტორია ჭაბუკთა ლიგიდან იწყება, „არმაზი" საქართველოს ჭაბუკთა ლიგის ორგზის გამარჯვებული „მგლების" ბაზაზეა შექმნილი. პირველ ლიგაში თამაშის უფლება უკვე „არმაზის" სახელით მივიღეთ და უმაღლესში გადმოვედით.

— თითქმის საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში გითამაშია, სხვა მორაგბეთა მსგავსად არ გიცდია კარიერის სხვა ქვეყანაში გაგრძელება?

— მიუხედავად იმ წინადადებისა, რომელიც საფრანგეთში მცხოვრებმა მიშელ იაშვილმა შემომთავაზა, მე მაინც საქართველოში დარჩენა და აქ თამაში გადავწყვიტე.

— გაკმაყოფილებს ჩვენი ჩემპიონატის დონე?

— რა პირობებშიც გვიწევს თამაში, ზუსტად ის დონეა, მიუხედავად იმისა, რომ რაგბის კავშირი ყველანაირად გვეხმარება. მე 21-წლამდელთა მსოფლიო თასზე მითამაშია, ვიცი, რასაც ნიშნავს მაღალი დონე და კარგი ინფრასტრუქტურა. სამწუხაროდ, საქართველო ევროდონემდე ჯერ შორს არის.

— ეროვნული ნაკრებზე არ გიფიქრია?

— ყველაფერს გავაკეთებ იქ მოსახვედრად, რაშიც ჩემი მწვრთნელები — ირაკლი იმნაძე და რომან მამულაშვილი ყველანაირად მეხმარებიან. ვარჯიშებზეც უფრო მეტ ყურადღებას შერკინებას ვუთმობთ, ვნახოთ, ყველაფერი მომავლის საქმეა.

**ზურაბ მიგრიაული**




## ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

19-29 მაისი. ეკატერინბურგი. რუსეთი

IX ტური

| | | |
|---|---|---|
| სომხეთი | 2:2 | საქართველო |
| ლილიტ მკრტჩიანი | 0,5:0,5 | მაია ჩიბურდანიძე |
| ნელი აგინიანი | 0,5:0,5 | ნინო ხურციძე |
| სირანუშ ანდრიასიანიანი | 0,5:0,5 | სოფიკო ხუხაშვილი |
| ლიანა აგაბეკიანი | 0,5:0,5 | სოფიო გვეტაძე |
| უკრაინა | 3,5:0,5 | ვიეტნამი |
| ბოტსვანა | 0:4 | რუსეთი |
| ჩეხეთი | 0,5:3,5 | პოლონეთი |
| გერმანია | 1,5:2,5 | ჩინეთი |

საბოლოო ვითარება

| | |
|---|---|
| 1. ჩინეთი | 17 |
| 2. რუსეთი | 15 |
| 3. უკრაინა | 14 |
| 4. საქართველო | 11 |
| 5. პოლონეთი | 9 |
| 6. ვიეტნამი | 8 |
| 7. გერმანია | 8 |
| 8. სომხეთი | 5 |
| 9. ჩეხეთი | 3 |
| 10. ბოტსვანა | 0 |

მოგებაზე გუნდებს ეწერებათ ორი, ფრეზე კი ერთი ქულა

# ჩინეთის მსოფლიოში საქართველო მეოთხეა

**ჩინეთის** ეროვნული ნაკრები მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. აზიელებმა 17 ქულა დააგროვეს და მეორეზე გასულ მასპინძლებს ორი ქულით აჯობეს.

ტურნირის ბოლოს მთელი ჩინეთის დელეგაცია გახარებული იყო, მოვიგეთ და ამ თასს კარგ ადგილას წავაბრძანებთო. თასი კი მართლაც შთამბეჭდავია. ეს ჯილდო 15 კილოგრამს იწონის, 70 სანტიმეტრია და ურალში მოპოვებული ძვირფასი ქვებისგანაა დამზადებულ-მოპირკეთებული.

გადამწყვეტი გამოდგა ბოლო ტური. რუსებმა ადვილად დაამარცხეს ბოტსვანის უსუსტესი გუნდი და გერმანია-ჩინეთის შეხვედრას დაელოდნენ, იქნებ სასწაული მოხდესო, თუმც... ჩინელებმაც მარტივად 2,5:1,5 შემუსრეს ევროპელები და თასის პირველი მფლობელებიც გახდნენ.

ჩვენი მანდილოსნები კი მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. ბოლო ტურში ქართველებმა სომხებთან 2:2 ითამაშეს და ჩემპიონატი 11 ქულით ჩაამთავრეს.

„მეოთხე ადგილი წარმატება არ არის, თუმც ამაზე ქვემოთ ნამდვილად არ უნდა ჩამოვსულიყავით — განაცხადა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ზურაბ სტურუამ — რა თქმა უნდა, უფრო უკეთესი შედეგი გვინდოდა. გეხსომებათ, ქართული ჭადრაკი მსოფლიოში დიდ ხანს დომინირებდა. არა უშავს, ყველაფერი წინ არის."

**ლაშა გეგეჭკორი**

# ჰორიზონტზე პეტერ ლეკო გამოჩნდა

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 14 ივნისი. პირველი ეტაპი

II ტური

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5(1,5:0,5) | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| მიხაილ გურევიჩი (თურქეთი) | 0:1(0,5:1,5) | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) | 0,5:0,5(1:1) | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) |
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 0,5:0,5(1:1) | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) | 0:1(0,5:1,5) | გატა კამსკი (აშშ) |
| ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი) | 0,5:0,5(0,5:1,5) | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 1:0(1,5:05) | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5(1:1) | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |

**მსოფლიოს** თასის მფლობელმა ლევონ არონიანმა მეორე ტურში მაგნუს კარლსენთან ყაიმი ითამაშა და სერიაში 1,5:0,5 დაწინაურდა. წინა შეხვედრა სომეხს ჰქონდა მოგებული და მეორეში თავი დიდად აღარ შეუწუხებია.

შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე თითოეული წყვილი ექვს-ექვს პარტიას ითამაშებს და მათ შორის გამარჯვებულები მომდევნოზე გავლენ.

კარგად ითამაშა პეტერ ლეკომ. მან შავი ფიგურებით თურქეთის სახელით მოასპარეზე მიხაილ გურევიჩი დაამარცხა და (მსოფლიოს) ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი მოიმატა.




**ლაშა გეგეჭკორი**



# ს(ტ)ამ-ბოლურის დასაწყისი



მანანა შაფაქიძე

**ევროპისა** და აზიის გზაგასაყარზე, თურქულ მეგაპოლის სტამბოლში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 10-ათასიანი შეჯიბრი დაიწყო, რომლის ძირითად ბადეში ოთხი ჩვენებურია — სოფო შაფათავა, მანანა შაფაქიძე, სოფო ქვაცაბაია და თინა ყაველაშვილი.

ტურნირის პირველ დღეს კორტზე სამი ქართველი გავიდა და სამივემ წარმატებით ითამაშა. მე-7 ნომრად განთესილმა შაფათავამ 6:2 6:1 მოუგო 18 წლისა და რეიტინგში 1059-ე ადგილზე მყოფ თურქ ეილულ ბენლის და ახლა 17 წლის ბულგარელს, კლასიფიკაციაში 1316-ე ადგილზე მყოფ ჰულია ველიევას შეხვედება, რომელმაც პირველ წრეში 6:2 6:4 აჯობა გერმანელ მედელინ დაქსს.

შაფაქიძემ, ვინც მე-8 ნომრად არის განთესილი, 6:0 6:0 გაანადგურა კვალიფიკაციიდან წამოსული 16 წლის ბელგიელი სილვია კვეოლი. მანანას მეორე მეტოქე, ასევე კვალიფიკაციაგამოვლილი 16 წლის რუსი ანასტასია შილინსკაია, რომელმაც პირველ წრეში თურქ დილარა იურტკურანს 6:3 6:1 სძლია.

ორ სეტში — 6:2 6:2 მოუგო გერმანელ ტრეისი კასტილოს ქვაცაბაიამაც. მისი მომდევნო მოწინააღმდეგე 17 წლისა და რეიტინგში 883-ე ადგილზე მყოფი ბრიტანელი კატარინა ბრაუნია. ამ ბრაუნმა პირველ წრეში 6:3 7:5 დაამარცხა მე-6 ნომრად განთესილი ბერძენი სტამატია ფაფალიუ.

რაც შეეხება ყაველაშვილს, მისი პირველი მეტოქე ავსტრალიელი ჯუიდ ჰოპერია და, თუ მას მოუგებს, მერე ან მე-5 ნომრად განთესილ რუს აუგუსტა ციბიშევას შეხვდება, ანაც სლოვენიელ მაია კამბიჩს.

სტამბოლის ტურნირის პარალელურად, უკრაინულ ჩერკასკში, აგრეთვე ITF-ის ეგიდით კაცთა 10-ათასიანი შეჯიბრი მიმდინარეობს. იქ სამი ჩვენებური ცდილობდა კვალიფიკაციიდან ძირითად ბადეში მოხვედრას, მაგრამ საწადელი ვერც ერთმა ვერ აისრულა — გიორგი ჭანტურია საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში დამარცხდა, გიორგი ხრიკაძე — მეორეში, ხოლო ნოდარ ითონიშვილი — მესამეში.



# ცვიკაუს გაზაფხულის ქართველი მერცხლები

## კარგად ციგაობენ, მალე ბაკურიანში ტრასაც იქნება



ნინო გავა ცვიკაუში მეექვსე იყო

**მაისში** ციგაობა გაგონილა? ბუნებრივია, ეს საქართველოში არ ხდება, უცხოეთის წამყვან „საზამთრო" ქვეყნებში კი ჩვეულებრივი ამბავია, ისინი აქედანვე იწყებენ ახალი სეზონისთვის მზადებას.

გერმანიაში, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ სპორტულ ცენტრ — ცვიკაუში ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „ცვიკაუს გაზაფხულის თასი" ჩატარდა. ასპარეზობა სამ ასაკობრივ ჯგუფში მოეწყო.

17-20 წლის იუნიორთა კატეგორიაში ოთხი ქართველი მოციგავეც იყო — ბაკურიანელები ნინო გავა, ლია ქოთუაშვილი, ლევან გურეშიძე და ნოდარ ქუმარიტაშვილი.

12 ქვეყნის ოთხმოცამდე სპორტსმენი ხელოვნურსაფარიან ტრასაზე გაეჯიბრა ერთმანეთს. ციგების ძირზე გორგოლაჭებს ამაგრებენ და ისე ეშვებიან 420-მეტრიან ღარში.

ჩვენმა გოგო-ბიჭებმა შარშან ამ ტრასაზე ათდღიანი შეკრება გაიარეს და ამდენად, პირობებს იცნობდნენ. ოღონდ ამჯერად მიზეზთა გამო მხოლოდ ორი დღით ადრე ჩავიდნენ ცვიკაუში და ხეირიანად წავარჯიშება ვერ მოასწრეს. მიუხედავად ამისა, ურიგოდ არ გამოსულან.

ყველაზე კარგი შედეგი 17 წლის ნინო გავამ აჩვენა. ორი დაშვების ჯამში იგი ექვს უძლიერესს შორის მოხვდა. ამ ექვსეულს კიდევ ერთი, ფინალური ცდა მიეცა ადგილების საბოლოოდ გასანაწილებლად. ნინოს ტრასის პირველ ნახევარზე მეოთხე დრო ჰქონდა, მაგრამ დაბლა, ფინიშთან ახლოს, მცირე შეცდომის გამო ტემპი დაკარგა და მეექვსე პოზიციაზე დარჩა.

არც ქოთუაშვილს შეურცხვენია თავი — მერვე ადგილზე გავიდა.

ნინოც და ლიაც თავიდან მძლეოსნობას მისდევდნენ. ორი წლის წინ კი ციგაობით დაინტერესდნენ და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იმავდროულად ქვეყნის საციგაო სპორტის პრეზიდენტის, ფელიქს ქუმარიტაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყეს ვარჯიში.

ქართველი ჭაბუკები ცვიკაუში შედარებით სუსტად გამოვიდნენ: გურეშიძე მე-12 იყო, ქუმარიტაშვილი — მე-15.

ყოველივე ეს ცუდი შედეგი არაა, რადგან ჩვენს მოციგავეებს ისეთ მეტოქეებთან მოუხდათ გაჯიბრება, რომელთაც ყოველნაირი პირობები აქვთ მოსამზადებლად და ტურნირებშიც ხშირად მონაწილეობენ. ჩვენ კი ბაკურიანში ორი მოკლე სასწავლო ესტაკადის გარდა არაფერი გაგვაჩნია.

იმედია, წლეულსვე ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება. ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ბაკურიანში სტანდარტული ტრასა მოაწყოს.

გერმანელი სპეციალისტები შესაბამის პროექტზე მუშაობენ და პირველი ნაწილიც უკვე შესრულებულია. ამჟამად ბაკურიანში ლაიფციგის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი უდო გურგელი იმყოფება ტერიტორიის დასათვალიერებლად და საპროექტო დეტალების საბოლოოდ დასაზუსტებლად.

ერთი სიტყვით, უკვე ნოემბერში შესაძლოა, მზად იყოს 420-მეტრიანი ტრასა, რომელზეც ზამთარ-ზაფხულ ვარჯიში იქნება შესაძლებელი. ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა ფინანსურ დახმარებასაც დაგვპირდა და ყოველწლიურად საერთაშორისო ტურნირის ორგანიზებასაც.

მაშინ მაინც გაუჩნდებათ ქართველ მოციგავეებს 2010 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადების მეტნაკლებად ხეირიანი პირობები.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როლან გაროსი 2007

**პარიზი. 27 მაისი – 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €**



ენდი როდიკმა თიხაზე ფეხი ვერ მოიკიდა

AFP

# წვიმამ გადაიღო, როდიკი წაიყოლა

როგორც იქნა, პარიზში გამოიდარა და ჩოგბურთელებსაც კორტსა და გასახდელს შორის სირბილის მაგივრად თამაშის საშუალება მიეცათ. მართალია, საფრანგეთის დედაქალაქის ცაზე მზე არც გუშინ კაშკაშებდა და ხანდახან ღრუბლებიდან თუ გამოანათებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, არც უწვიმია, რამაც ორგანიზატორები ისე გაახარა, რომ რაც წინა ორ სათამაშო დღეს მატჩები გადაიდო, ლამის ყველა გუშინ ჩაათავეს — მოკლედ, „როლან გაროსის" თიხნარზე ადრიანი დილიდან გვიან დალამებამდე გამალებული ჩოგანკვეთება იყო.

გაჩაღდა ჯახები და პირველი ხმაურიანი სენსაციებიც ვნახეთ. საერთოდ, აქ ასეა ხოლმე — პარიზულ გრუნტს ყველა ადვილად ვერ ეჩვევა და თავიდან ერთ-ორ მაღალნომრიან განთესილს ყოველთვის ხდიან სკალპს. ამჯერად ამ უიღბლოთა შორის ენდი როდიკი მოხვდა. კი, ბატონო, არ არის ეს კაცი თიხნარის სპეციალისტი, მეტიც, ვერ იტანს ამ საფარზე თამაშს და ხეირიანი აქამდე არაფერი უქნია. მაგრამ როცა ტურნირის მესამე ნომერი პირველივე წრეში ვარდება, მაინც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს. გარდა ამისა, თავად ენდი-ბოის რანაირადაც არ უნდა სძულდეს თიხნარზე ჩოგნაობა, მაინც საეჭვოა, პარიზთან გამოთხოვება ასე ნაადრევად დაეგეგმა. აკი, ამბობდა კიდეც, ტურნირის მეორე კვირამდე მიმაღწევინა და მერე ჯანდაბას, რაც გინდა, მოხდესო.

ვინ აცალა — იგორ ანდრეევი ადგა და პირველივე წრეში წააქცია ამერიკელი. ისე, როდიკს სრული უფლება აქვს, ბედს ემდუროდეს, რადგანაც ტურნირის დებიუტშივე ასეთი ძლიერი მეტოქის წინაალმდეგ მოუწია თამაში. ენდისგან განსხვავებით, ანდრეევი სწორედ რომ თიხნარის სპეციალისტია და ის კაცია, ვინაც თავად რაფაელ ნადალს მოუგო ესპანელის ლეგენდარული, 81-მატჩიანი მოგებათა სერიის დაწყებამდე.

მოკლედ, ბევრი ლაყბობა რომ აღარ გავაგრძელოთ, ამ წყვილში როდიკი ფავორიტად სულაც არ მოჩანდა და მისი მარცხი საკმაოდ ლოგიკურია — მიუხედავად იმისა, რომ იანკიმ თავიდან უფრო კარგად დაიწყო, სეტიც მოიგო და მეორეში ბრეიკიც ჰქონდა. მაგრამ რუსმა ალღო აუღო თუ არა სახელიანი მეტოქის თამაშს, მაშინვე დაეუფლა უპირატესობას და ზედიზედ სამი პარტია მოიგო. ენდი-ბოიმ მხოლოდ მეოთხე სეტში გაიბრძოლა და რამდენიმე ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა... ეგ იყო და ეგ — ანდრეევმა თითქმის ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე (მათ შორის ეისებში 8:5) და მეორე წრეშიც დამსახურებულად გავიდა.

სამაგიეროდ, ადვილად იმარჯვეს სხვა ფავორიტებმა. წვიმის გამო გადადებული საქმე გუშინ მალევე მოათავა როჯერ ფედერერმა, რომელმაც ძალიან დამაჯერებლად იჩოგნავა. დიადმა შვეიცარიელმა მაიკ რასელს ბრეიკ-პოინტიც არ გააკეთებინა.

არ გაჭირვებია პირველი წრის გავლა ლეიტონ ჰიუიტსაც. ოზი ბიჭი მართლაც დიდებულ ფიზიკურ ფორმაშია, რაც მის თამაშს აშკარად ეტყობა — ასე ნარნარად კორტზე მფრინავი ჰიუიტი კარგა ხანია, არავის უნახავს. ლეიტონმა ჯერჯერობით ალბათ ყველაზე სრულყოფილი თამაში აჩვენა და მაქს მირნის უპრობლემოდ გაუსწორდა.

ერთი სენსაცია ქალთა შორისაც აღინიშნა. როგორც ყოველთვის, პარიზში დიდი ამბიციით ჩასული ნადია პეტროვა ზედიზედ მეორე წელია, ტურნირს პირველივე წრეში ემშვიდობება. რუსი რატომღაც ვერ ახერხებს სათანადოდ განწყობას არცთუ ძლიერ მეტოქეებთან თამაშისას, რაც ძალიან ძვირად უჯდება. ისე, ნადიას სუსტ მხარედ სწორედ რომ არასაჩემპიონო ხასიათს ასახელებენ, რის გამოც რუსს უჭირს თავისზე აშკარად დაბალი კლასის მეტოქეთა დამარცხება. აბა, წმინდად ფსიქოლოგიური თუ არა, სხვა რა ფაქტორით უნდა აიხსნას რუსის გასაოცარი ინერტულობა მესამე და გადამწყვეტ სეტში, როცა საშუალოზე საშუალო დონის ჩეხმა კვეტა პეშკემ ნულზე გაყინა ტურნირის მე-11 ნომერი.

კაცებისა არ იყოს, ქალებმაც ერთი სენსაცია იმყოფინეს — სხვა ფავორიტები უპრობლემოდ გავიდნენ მეორე წრეში. განსაკუთრებით ელენა იანკოვიჩისა და ნიკოლ ვაიდიშოვას გამარჯვებები გამოვყოთ. ამ ორის სათამაშო ფორმასთან გარკვეული კითხვები იყო — სერბს თითქოს რაღაც აწუხებდა, რის გამოც მან „როლან გაროსის" წინ სტრასბურში ნახევარფინალი ვერ ითამაშა. თინეჯერი ჩეხი კი კორტზე დაახლოებით ორი თვეა, არავის ენახა. მაგრამ გუშინ ორივემ მშვენივრად იჩოგნავა და კრიტიკოსები დროებით მაინც დაადუმა.

**ქახა ლომჯაშვილი**

## კაცები

### პირველი წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:4 6:2 6:4; **ტიერი ასიონე** (საფრანგეთი) — მარიან ჩილიჩი (ხორვატია) 6:2 6:2 6:1; **კარლოს ბერლოკი** (არგენტინა) — ჟულიენ ბენეტო (30, საფრანგეთი) 6:7 7:5 6:3 6:2; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:7 7:6 6:4 1:2 *(უარი)*; **ნიკოლას ლაპენტი** (პერუ) — ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:1 6:4 2:1 *(უარი)*; **მიხაილ იუჟნი** (13, რუსეთი) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) *(უარი)*; **ტომი რობრედო** (9, ესპანეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:3 6:4 6:2; **კონსტანტინ ეკონომიდისი** (საბერძნეთი) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 6:7 6:4 6:4 6:1; **ფილიპო ვოლანდრი** (29, იტალია) — პოლ კაპდევილი (ჩილე) 6:3 7:5 6:3; **მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 6:3 6:3 6:7 7:6; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 0:6 5:7 6:2 7:5 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (7, ხორვატია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:1 7:5 7:6; **ვერნერ ეშაუერი** (ავსტრია) — ალექსანდრ სიდორენკო (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:3 6:4; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ნიკოლა დევილდერი (საფრანგეთი) 6:4 6:3 6:3; **ნიკოლას ალმაგრო** (32, ესპანეთი) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4 6:4 6:4; **ხუან-იგნასიო ჩელა** (18, არგენტინა) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:7 6:0 6:3 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (15, არგენტინა) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:2 6:1 3:6 6:3; **რიშარ გასკე** (11, საფრანგეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:3 6:2 6:2; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:2 6:3 6:3; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — მარტინ ფერკერკი (ჰოლანდია) 6:1 6:4 6:4; **გილერმო კანასი** (19, არგენტინა) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:3 6:1 6:4; **იურგენ მელცერი** (27, ავსტრია) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4 7:5 6:4; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — ფაბიო ფანინი (იტალია) 3:6 2:6 6:1 6:2 6:4; **ედუარდ როჟე-ვასელენი** (საფრანგეთი) — მარკოშ დანიელი (ბრაზილია) 6:1 4:1 *(უარი)*; **მატიე მონფური** (საფრანგეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 6:3 6:1 6:3; **ხუან-კარლოს ფერერო** (17, ესპანეთი) — ამირ დელიჩი (აშშ) 6:7 6:3 6:3 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (23, რუსეთი) — ალესიო დი მაურო (იტალია) 6:3 6:4 3:6 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ჟერმენ ენელი (საფრანგეთი) 4:6 6:2 6:2 6:0; **ალბერტ მონტანიესი** (ესპანეთი) — რობინ სოდერლინგი (25, შვედეთი) 7:5 4:1 *(უარი)*; **მარკოს ბაღდატისი** (16, კვიპროსი) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:3 6:2 6:4; **ოლივიე პატიენსი** (საფრანგეთი) — ჟონატან იუსერიკი (საფრანგეთი) 6:1 3:6 6:2 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (14, ავსტრალია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3 6:1 6:3; **გაელ მონფილსი** (საფრანგეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 4:6 6:4 6:2 3:6 6:1; **ივან ნავარო პასტორი** (ესპანეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 7:6 6:4 6:4; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ენდი როდიკი (3, აშშ) — 3:6 6:4 6:3 6:4; რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — ფერნანდო გონსალესი (5, ჩილე) 6:2 6:2 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი** (18, გერმანია) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:2 3:6 7:5 4:6 17:15; **ერნესტ გულბისი** (ლატვია) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:4 6:3 6:2; **იარკო ნიემინენი** (20, ფინეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:2 6:4 7:6; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — ლუის ჰორნა (პერუ) 6:4 7:5 3:6 6:7 6:2; **კრისტიან პლესი** (დანია) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:3 6:2 7:6; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 3:6 6:3 3:6 6:4 6:3; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — დომინიკ ჰრბატი (24, სლოვაკეთი) 6:2 5:7 6:7 6:4 6:3; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 7:5 6:3 6:2; **პოლ-ანრი მატიე** (საფრანგეთი) — ფლორიან მაიერი (31, გერმანია) 6:3 6:4 6:2 **იან ჰაიეკი** (ჩეხეთი) — ტომას იუჰანსონი (შვედეთი) 7:5 7:6 7:6

## ქალები

### პირველი წრე

**ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) — კეისი დელაკუა (ავსტრალია) 6:3 4:6 6:3; **მარა სანტანჯელო** (28, იტალია) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:1 6:4; **სიბილ ბამერი** (20, ავსტრია) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:4 6:4; **ოლგა სავჩუკი** (უკრაინა) — იაროსლავა შვედოვა (რუსეთი) 7:5 7:5; **პოლინ პარმენტიე** (საფრანგეთი) — მარია კორიცევა (უკრაინა) 6:4 3:6 7:5; **ტიმეა ბაჩინსკი** (შვეიცარია) — ჟი ჟენგი (ჩინეთი) 7:6 6:0; **ფრანჩესკა შიავონე** (23, იტალია) — ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:2 6:4; **შენეი პერი** (აშშ) — ოლივია სანჩესი (საფრანგეთი) 3:6 6:4 6:3; **მილაგროს სექუერა** (ვენესუელა) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 5:7 6:3 9:7; **ელენა იანკოვიჩი** (4, სერბეთი) — სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) 6:2 6:2; **კატალინ კასტანო** (კოლუმბია) — ემა ლეინი (ფინეთი) 1:6 7:5 6:4; **მარიონ ბარტოლი** (18, საფრანგეთი) — არავენე რეზაი (საფრანგეთი) 6:2 6:4; **მატილდა იოჰანსონი** (საფრანგეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 7:5 6:4; **ელენა დემენტიევა** (13, რუსეთი) — ანჟელიკ კერბერი (გერმანია) 6:3 6:2; **კვეტა პეშკე** (ჩეხეთი) — ნადია პეტროვა (11, რუსეთი) 7:5 5:7 6:0; **ნურია ლაგოსტერა-ვივესი** (ესპანეთი) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:2 7:5; **აკგულ ამანმურადოვა** (უზბეკეთი) — ვანია კინგი (აშშ) 7:6 4:6 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (6, ჩეხეთი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:4 6:3; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:3 6:0; **ციპორა ობზილერი** (ისრაელი) — მელინდა ცინკი (უნგრეთი) 6:3 6:4; **სტეფანი კოენ-ალორო** (საფრანგეთი) — ანასტასია იაკიმოვა (ბელარუსი) 7:6 6:1; **ანდრეა პეტკოვიჩი** (გერმანია) — იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკეთი) 4:6 6:3 6:3



თიხნარის მეფემ, რაფაელ ნადალმა ტიტულის დაცვა არგენტინელი დელ პოტროს ძლევით დაიწყო

AFP

# გუნდს გუნდური ტაქტიკა დაუწუნეს

## ლუისმა იცის, რომ ის მეორეა




**შესაძლოა**, კი არა, ალბათ არაფერიც არ შეიცვლება, მაგრამ ანტიმაკლარენული სკანდალი მაინც აგორდა.

საქმე შემდეგშია: კვირას მონტე კარლოში მონაკოს საპირველფორმულო დიდი პრიზისთვის რბოლისას, უკვე დისტანციის მეოთხედის გავლის შემდეგ ლიდერ ფერნანდო ალონსოს უპირატესობა თანაგუნდელ მდევარ ლუის ჰემილტონთან ცხრა წამამდე გაიზარდა, მაგრამ ვიწრო ტრასაზე ტრაფიკის გამო უცებ, ორიოდ წრეში მხოლოდ სამი წამი გახდა და ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

ამ დროს ალონსოს პიტსტოპის შემდეგ ჰემილტონი ჩაუდგა თავში ქარავანს და გარეკა კიდეც, მაგრამ არ აცალეს. „მაკლარენის" წინასწარი სტრატეგიის საწინააღმდეგოდ, ლუისს ნაადრევად უხმეს ბოქსებში, როცა მის ბოლიდში კიდევ რჩებოდა საწვავი:

„გამიკვირდა, როდესაც ფერნანდოს პიტსტოპის შემდეგ მხოლოდ სამი წრის გავლა მოვასწარი და ბოქსებში დამიძახეს, რადგან ჩემს მანქანაში იმდენი საწვავი ესხა, რომ ხუთი-ექვსი წრით მეტი უნდა გამევლო, ამიტომ ლიდერობის შესანარჩუნებლად დროის საკმაო მარაგის დაგროვება ვერ მოვასწარი. საწყენია, ის ორი-სამი წრე საკმარისი იქნებოდა. ახლა ჩემს ინჟინრებთან ამ ამბის განხილვა მომიწევს. გულწრფელად მჯერა, რომ მიზეზი, რის გამოც ადრე გამომიძახეს პიტსტოპზე, თავის დაზღვევა იყო ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის გამოჩენის შემთხვევაში".

მეორე საბოქსე მანიპულაციის წინ ალონსო ათი წამით ასწრებდა ახალბედა თანაგუნდელს, მაგრამ მერე სხვაობა ოთხ წამამდე დავიდა, ხოლო ფინიშამდე სამოციოდე კილომეტრი რჩებოდა, როცა ლუისმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და კუდში მიადგა ჩემპიონს, თუმც გასასწრებად იერიში ერთხელაც არ უცდია.

ლოგიკურიცაა, ორლობის სივიწროვის ქუჩებში თანამაკელებს დუელი რომ მოეწყოთ, შესაძლოა, ერთმანეთი დაელეწათ. მეტი უტვინობა რაღა იქნებოდა.

ამ სიფრთხილეში ჟურნალისტებმაც და „მაკლარენის" მოქიშპეებმაც გუნდური ტაქტიკა დაინახეს, ჰემილტონს ალონსოს გასწრების საშუალება არ მისცესო.

ჰემილტონი: „მე მას დავეწიე, რამდენიმე წრე კუდში მივდევდი და შემეძლო, პრესინგი გამეგრძელებინა. მაგრამ მაშინ შეიძლებოდა, ფერნანდოს შეცდომა დაეშვა, მისი გამოთიშვა კი გუნდისთვის დიდი დანაკარგი იქნებოდა. ამიტომ რაციით შემატყობინეს, დავმშვიდებულიყავი. ეს არ იყო გუნდური ტაქტიკა, არავის უთქვამს, რომ ფერნანდოს უკან უნდა მევლო. მთავარი იყო, ქულათა მაქსიმუმი მოგვეპოვებინა და „ფერარი" უფრო ჩამოგვეტოვებინა. კი, შემიძლია ფერნანდოს ტემპში ვიქროლო, ესეც ძალიან კარგია, მაგრამ უნდა შევეგუო ჩემს მანქანაზე ციფრს „2". მე მრბოლი ნომერი ორი ვარ, ახალბედა და ეს ჩემი სადებიუტო სეზონია".

ცხადია, „მაკლარენის" ბოსი რონ დენისი უარყოფს, რომ მონაკოში რბოლისწინა სტრატეგიის დამუშავებისას გუნდმა აქცენტი ალონსოზე გააკეთა:

„ბევრი დარწმუნებულია, რომ „მაკლარენს" ჰყავს ფავორიტი. ზოგი თვლის, რომ ეს ალონსოა, სხვები ფიქრობენ, რომ ჰემილტონს ვეხმარებით. გარწმუნებთ, ეს ასე არაა. ჩვენ იმ პრინციპს მივდევთ, რომ ორივეს თანაბარი შანსი ჰქონდეს. არანაირ უცნაურობას არ ვხედავ იმაში, რომ პირველი პიტსტოპის შემდეგ მრბოლებს ვთხოვეთ, ოდნავ შეენელებინათ ტემპი, რათა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის შესაძლო გამოსვლის გამო, ხელიდან არ გაგვეშვა გამარჯვება. მონტე კარლოში არანაირი ამკრძალავი ბრძანება არ გაგვიცია".

მაგრამ მედიისა არ იყოს, ამის არც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობას სჯერა და საკითხის გამოკვლევას აპირებს:

„FIA გამოიძიებს მონაკოში „მაკლარენის" მონაწილეობით ინციდენტს, საერთაშორისო სპორტული კოდექსის შესაძლო დარღვევის თაობაზე".

ეტყობა, გუნდის ხელმძღვანელობას და პილოტებს პარიზში, FIA-ს შტაბბინაში გარჩევაზე გამოიძახებენ.


AFP მონტე კარლოდან

ლუის ჰემილტონს და ფერნანდო ალონსოს გუნდურ ტაქტიკაში სდებენ ბრალს

**გია ახალაძე**



# სტუდენტობა ბობოქრობს

## ბებერი მუტოლა კი ახალგაზრდობას იხსენებს

**200 მეტრზე** სპრინტში ლეგენდარული მაიკლ ჯონსონის რეკორდს, 19,32 წამს ჯერ რეალური დამმხობი არ უჩანს, მაგრამ ის კი სათქმელია, რომ ამ დისციპლინაში ზოგადად დონე შესამჩნევად ამაღლდა და ერთბაშად გამოჩნდა ხალხი, რომელთაც 20 წამის და ნაკლების ჩვენება შეუძლიათ. ამერიკელმა სპრინტერებმა შარშან რამდენჯერმე მოახერხეს 20 წამის „დამოკლება", ზოგიერთი 19,60-საც კი მიუახლოვდა და ამ სეზონსაც ასეთი პირი უჩანს.

ორიოდ დღის წინ ფლორიდის შტატის ქალაქ გეინსვილში ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, ვიმეორებთ, არა ჩემპიონატზე, არამედ მის რეგიონალურ შესარჩევ ეტაპზე ერთმა 21 წლის ჯეელმა, მანამდე სრულიად უცნობმა მორბენალმა უოლტერ დიქსმა 200 მეტრი 19,69 წამში გაირბინა და მსოფლიოს ყველა დროის მეექვსე შედეგი დააფიქსირა. გარდა ამისა, მან მრავალ უფრო მომცრო რეკორდს ჩამოაჭრა წამის მეასედები და მეათედებიც კი. ასე მაგალითად: 0,44 წამი მოაკლო პირად რეკორდს და 0,06 წამი სტუდენტური ჩემპიონატების რეკორდს, რომელიც ლამის 20 წელი მყარად იდგა — 1988 წელს ჯო დელოა 19,75 წამში რომ ჩაეტია, მას შემდეგ არც ერთი ამერიკელი სტუდენტი 19,80 ნიშნულსაც კი არ გაკარებია. არადა, აშშ-ს სტუდენტური ლიგების და ჩემპიონატების ამბავი ხომ იცით, ყველა ცნობილი ამერიკელი სპორტსმენი სტუდენტობაში იცდება და იწვრთნება.

დიქსი თავადაც არ ელოდა ასეთ შედეგს. აკი მოგახსენეთ, პირად რეკორდს 0,44 წამი მოაკლო. ასე რომ, მას მანამდე 20 წამიც კი არ ეჩვენებინა, ახლა კი — „ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთ შედეგს თუ ვაჩვენებდი, მაგრამ რომ გავიქეცი და ბოლოსკენ ახლოც არავინ მომდევდა, მაშინ მივხვდი, რომ სადღაც 19,90-ის ფარგლებში დავამთავრებდი. შედეგი როცა ვნახე, სულ გადავირიე."

თქმაც არ უნდა, რომ უოლტერ დიქსის 19,69 წამი სეზონის რეკორდიცაა.

ამერიკაში კიდევ ერთი სეზონის რეკორდი დამყარდა, ოღონდ ამჯერად მისი ავტორი ყველასთვის კარგად ნაცნობი სპორტსმენია. „ქუავაზად" წოდებულმა მოზამბიკელმა მარია მუტოლამ ორეგონის შტატის ქალაქ იუჯინში თავისი საფირმო 800 მეტრი წუთსა და 58,79 წამში გაირბინა, რაც წლეულს ჯერ ვერც ერთ ქალს ვერ მოუხერხებია.

მუტოლა უკვე პატარა გოგონა აღარაა, 34 წლისა მოყრილა, მაგრამ თავადაც ხედავთ, მუხლებში ძალა ჯერ არ წართმევია და არც ხალისი აკლია. მან ათასი მადლობა უძღვნა ტურნირზე მრავლად მოსულ ქომაგს, რომელთაგან ბევრს პირადადაც კი იცნობს, რაკილა 1991-2000 წლებში სწორედ იუჯინში ცხოვრობდა, ვარჯიშობდა და სწავლობდა: „ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ, ამ თბილ და საყვარელ ქალაქში წლების განმავლობაში რომ ვცხოვრობდი. მე აქ უამრავი მეგობარი მყავს და აქაურობასთან და აქაურებთან ბევრი თბილი მოგონება მაკავშირებს."

**კოტე ყორშია**

## 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი

# გარძელიმ ბოლომდე გაძლო



ერთდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ რიგით 90-ე „ჯირო დიტალია“ განახლდა და ველოქარავანი ავსტრიას ესტუმრა — დოლომიტის ალპებში, ორდინა დარივოში დაწყებული 189-კილომეტრიანი ეტაპი ლინცში დასრულდა.

გზაზე ერთი პირველი კატეგორიის, ზღვის დონიდან 1875 მეტრი სიმაღლის და ორიც მესამე კატეგორიის მთა იყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ გზაზე საერთო ჩათვლის მოწინავეებმა გასეირნება მოიწყვეს და ყურადღება არ მიაქციეს იმ, თითქმის ოცკაციან ჯგუფს, რომელიც პელოტონს გაექცა. მერე თავად ეს ჯგუფი გაიყო ორ არათანაბარ ნაწილად — პირველში, მოწინავეში, ექვსი მრბოლი იყო. ამ ექვსეულში „ჯიროს“ 2000 წლის ტრიუმფატორი, ლეგენდარულ მარკო პანტანასთან გარეგნული მსგავსებისა და მეგობრობის გამო „ილ პირატინოდ“ მონათლული სტეფანო გარძელიც გახლდათ და ბოლო აღმართზე ის რისკზე და შეტევაზე წავიდა — თანამგზავრები მიატოვა და ეულად გაუყვა ლინცის გზას.

რისკმა გაამართლა. მართალია, ფინიშამდე 10-კილომეტრით ადრე მდევრები ნახევარი წუთის სავალზე წამოეწივნენ გაქცეულს, მაგრამ მერე მათ მოძრაობაში სინქრონულობა დაიკარგა, გარძელიმაც ბოლომდე გაძლო და ისე გამოვიდა რომ საბოლოო ჯამში წუთზე მეტი მოიგო.

სტეფანო გარძელისთვის ეს მეორე ტრიუმფი იყო წლევანდელ „ჯირზე“ და საერთო ჩათვლაშიც, მან გვარიანად წინ — მე-13 ადგილზე აინაცვლა.

გენერალური კლასიფიკაციის მოწინავენი ეტაპის გამარჯვებულს 8 წუთზე მეტით ჩამორჩნენ, მაგრამ ამით არც არაფერი შეცვლილა. დღეს, ალბათ შეიცვლება. დღეს რბოლის ბოლო სამთო ეტაპია და თუ ვინმეს სურს დანილო დი ლუკასთვის ვარდისფერი მაისურას წართმევა, სწორედ დღეს უნდა ივარგოს.

**მე-16 ეტაპი. ორდინა დარივო — ლინცი. 189 კმ**

| | |
|---|---|
| 1. სტეფანო გარძელი (იტალია, „აკვა ე საპონე“) | 5 სთ 34 წთ 07 წმ |
| 2. ლორან მენგელი (საფრანგეთი, AG2R) | +1 წთ 01 წმ |
| 3. რიკარდო სერანო (ესპანეთი, „ტინკოფი“) | |
| 4. ხოსე ლუის რუბეირა (ესპანეთი, „დისქავერი“) | |
| 5. პიეტრო კაუჩოლი (იტალია, „კრედიტ აგრიკოლი“) | *ყველას იგივე ჩამორჩენა* |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“) | 73 სთ 43 წთ 12 წმ |
| 2. ედი მაცოლენი (იტალია, „ასტანა“) | +1 წთ 51 წმ |
| 3. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +2 წთ 56 წმ |
| 4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუკვალი“) | +3 წთ 19 წმ |
| 5. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | +3 წთ 23 წმ |

# დი ლუკას ლუკმა: რებელინი

„პრო-ტურის“ სერიაში შემავალი „კატალონიის ვუელტას“ დასრულების შემდეგ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) და „პრო-ტურის“ სერიის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნეს მორიგი რეიტინგ-სია, რომელსაც სათავეში კვლავაც გერმანული „გეროლშტაინერის“ იტალიელი მრბოლი დავიდე რებელინი უდგას. რებელინი დამაჯერებლად, მთელი 50 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ესპანელ ალეხანდრო ვალვერდეს, მაგრამ, სავარაუდოდ, „ჯირო დიტალიას“ დასრულებისთანავე „გეროლშტაინერის“ ველოსიპედისტს პირველობას მისი თანამემამულე დანილო დი ლუკა წაართმევს. დი ლუკამ, რომელიც ამ წუთისთვის რეიტინგში მესამეა და ლიდერს 57 ქულით ჩამორჩება, მიმდინარე „ჯიროზე“ უკვე ბლომად სარეიტინგო ქულები გააკეთა და, თუ დარჩენილ ეტაპებზეც ივარგებს და იტალიურ სუპერრბოლას მოიგებს, კლასიფიკაციაში რებელინის თავზე წამოაჯდება. გუნდების რეიტინგში წინ დანიური CSC არის, ხოლო ეროვნებათა ჩათვლაში იტალიელები ლიდერობენ.



დავიდე რებელინი

**პრო-ტურის რეიტინგი**

**მრბოლები**

| | |
|---|---|
| 1 დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“) | 157 |
| 2 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარგნი“) | 107 |
| 3 დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“) | 100 |
| 4 ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) | 82 |
| 5 სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) | 79 |
| 6 შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | 75 |
| 7 ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 63 |
| 8 ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, „სონი დიუვალი“) | 62 |
| 9 ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი“) | 58 |
| 10 ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) | 57 |
| 11 ტომას დეკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი“) | 55 |
| 12 ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“) | 53 |
| 13 ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, „კაისე დეპარგნი“) | 52 |
| 14 ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) | 50 |
| 15 მატიას კესლერი (გერმანია, „ასტანა“) | 50 |
| 16 სამუელ სანჩესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | 48 |
| 17 რობი მაკიუენი (ავსტრალია, „ლოტო“) | 47 |
| 18 ტადეი ვალჟავეცი (სლოვენია, „ლამპრე“) | 46 |
| 19 როჯერ ჰემონდი (ბრიტანეთი, „T-მობაილი“) | 45 |
| 20 პაოლო სავოლდელი (იტალია, „ასტანა“) | 45 |

გუნდები: 1. CSC (დანია) 184 ქულა; 2. ლიქუიგასი (იტალია) 163; 3. AG2R (საფრანგეთი) 155; 4. სონი დიუვალი (ესპანეთი) 151; 5. დისქავერი (აშშ) 147; 6. რაბობანკი (ჰოლანდია) 144; 7. ასტანა (ყაზახეთი) 143; 8. კაისე დეპარგნი (ესპანეთი) 138; 9. T-მობაილი (გერმანია) 133; 10. ქვიკ სტეპი (ბელგია) 123

ქვეყნები: 1. იტალია 397 ქულა; 2. ესპანეთი 357; 3. ავსტრალია 256; 4. გერმანია 241; 5. ბელგია 147; 6. ჰოლანდია 139; 7. რუსეთი 119; 8. ლუქსემბურგი 116; 9. ყაზახეთი 86; 10. სლოვენია 75.



## სტენლის თასის ფინალი

## დასავლეთი

### ანაჰაიმი 1:0 ოტავა

**პირველი მატჩი**

**ანაჰაიმი 3:2 ოტავა**

*1:1 0:1 2:0*

0:1 ფიშერი (2, უმრ. მეზაროში, კომრი), 1:1 მაკდონალდი (11, სელიანე), 1:2 რედენი (25, უმრ. ალფრედსონი, სპეცა), 2:2 გეცლაფი (46, პერი, ჯეკმენი), 3:2 მოენი (58, რ. ნიდერმაიერი, ს. ნიდერმაიერი)




# სასკაჩევანი, ფერმა და თივა

## სტიუარტ მოენი სტიუარტ ველიდან

სეზონის დასაწყისში „ანაჰაიმს“ სულ ტყუილად გადაარქვეს სახელი — მანამდე „მძლავრი იხვები“ ახალმა მეპატრონეებმა „იხვებად“ გადააქციეს. ღლესდღეობით ისინი არაფრით ჰგვანან ამ კარგად ცნობილ, არცთუ აგრესიულ შინაურ ფრინველებს. ამ გუნდს სწორედაც რომ „მძლავრი“ უნდა ერქვას ტოტალური პრესინგისა და ძალისმიერი ფიზიკურ ზეწოლაზე დაფუძნებული ჰოკეის სიყვარულის გამო.

გუშინ „ანაჰაიმმა“ თავის სტილში, კბილების ხრჭიალითა და ძიძგილაობით „ოტავას“ პირდაპირ ხელიდან გამოჰგლიჯა გამარჯვება და სტენლის თასის ფინალურ სერიაში პირველი გამარჯვებაც მოიპოვა. კალიფორნიელები ორჯერ აგებდნენ, მაგრამ ორჯერვე შეძლეს გათანაბრება, მესამე პერიოდის მიწურულს მესამეც შეაგდეს და მერე კი ეს უპირატესობა მატჩის მეორე ნახევარში გამოღვიძებული კიპერის ჟან-სებასტიან ჟიგერის ბრწყინვალე თამაშის წყალობით შეინარჩუნეს კიდეც.

„ანაჰაიმმა“ შეძლო და მაქსიმალურად ჩახურა თამაში, რითაც სუპერშემტევი „ოტავა“ თითქმის მთლიანად გააკავა. „სენატორთა“ დამრიგებელ ბრაიან მიურეის ბლომად საფიქრალი აქვს, რადგან მისმა ნაქებმა წინა ხაზმა თანაბარ შემადგენლობებით თამაშისას გუშინ ხეირიანი ვერაფერი შექმნა „იხვების“ კართან — სახიფათო მომენტები კანადურ გუნდს მხოლოდ მეტობის დროს ჰქონდა. მიურესითვის ყველაზე სანერვიულო ალბათ ის არის, რომ მისი გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა და წლევანდელ პლეი ოფში აქამდე შეუჩერებელი სამეული — ჯეისონ სპეცა-დენი ჰიტლი-დანიელ ალფრედსონი — „ანაჰაიმის“ დაცვითმა სათაოვიანმა გველეშაპმა სამუელ პალსონის, რობ ნიდერმაიერისა და ტრევის მოენის შემადგენლობით, პირწმინდად ამოკეტა და ხელ-ფეხი არ გაანძრევინა.

სხვათა შორის, ამ ბიჭებმა არა მარტო თავისი უშუალოდ მოვალეობები შეასრულეს ხუთიანზე, რითაც „სენატორთა“ საუკეთესო თავდასხმელები „გააქრეს“ ყინულიდან, არამედ თავი შეტევაშიც გამოიჩინეს — მატჩის გადამწყვეტი შაიბა ხომ ამ სამეულმა შექმნა. გოლის ავტორობა კი მოენმა იკისრა, რომელიც სულაც გამორჩეული, ცალკე ისტორიაა — სასკაჩევანის პროვინციის მიყრუებულ სოფელ სტიუარტ ველიში დაბადებული ეს ბიჭი მთელი ცხოვრება წლის ამ პერიოდში თავის ფერმაში იყო ხოლმე და თავისიანებს ზამთრისთვის თივის მომზადებაში ეხმარებოდა. თუმც ახლა საამისოდ მოენს ნაღდად არ სცხელა, აგერ სტენლის თასის ფინალში თამაშობს და დახეთ როგორ — თავის გუნდს მოაგებინა კიდეც.

„ვიცი, რომ მშობლებთან ერთად მთელი სოფელი უყურებს ჩემს თამაშებს. ისინი ძალიან ბედნიერები არიან სტენლის თასის ფინალებში რომ მხედავენ“ — ალალად ამბობს „სტიუარტ ველის“ ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი.

გარდა ამისა, მხოლოდ მეორედ ხდება ნჰლ-ის ისტორიაში, როცა სტენლის თასის ფინალებში ერთ გუნდში ძმები თამაშობენ. საუბარი „ანაჰიმის“ ლიდერებზე, სკოტ და რობ ნიდერმაიერებზე გვაქვს, რომლებიც პირველად 1985 წლის შემდეგ, „ფილადელფიელი“ რიჩ და რონ სატერების მსგავსად, ერთად ცდილობენ საკლუბო ჰოკეის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს დაუფლებას.

**ბახა ლომაყვილი**

# კვლავ შიშვლად მიიწევს



AFP

ჰოლანდიელი ვიმ ჰოფი იმითაა ცნობილი, რომ სიცივეს ვერ გრძნობს და შარშან შორტებისამარა უნდოდა ევერესტზე ასვლა, მაგრამ არ გამოუვიდა კვლავაც ემზადება უმაღლესი მწვერვალის დასაპყრობად. აისმენად ნოდებული ვიმი ევერესტზე კვლავაც შორტებისამარა აპირებს ასვლას, იქიდან კი ორ ფრანგთან ერთად პარაპლანებით გადმოფრენა გადაუწყვეტია.



AFP

# ცაში აედევნა

ასეთი რამეები მოხდება ხოლმე: საჰაერო ბურთების ფესტივალია, სადანლაც კი პარაშუტისტი გამოფრენილა თავისი მართვადი საფრენით და საჰაერო ბურთს ადევნებია.



AFP

# ჯიროს გორაკები

ჯირო გრძელდება: მეთხუთმეტე და 184-კილომეტრიანი გზა, ტრენტოსა და ტრე ჩიმე დი ლაკარედოს შორის რომ იყო გაწელილი, რიკარდო რიკომ (შუაში) მოიგო. საერთო შეჯიბრს კი სათავეში კვლავაც დანილო დი ლუკა უდგას.

# გაჭიმული



კალიფორნიაში ქვიშის ფრენბურთის ჟამი დგას. პერმოზა ბიჩზე ერთი ამბავია გახურებული. ეს გაჭიმული ქალი კი ჰოლი მაკპეიკი გახლავთ.

AFP



AFP

# ფრანგები ოკლენდში

საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრები ოკლენდს ჩასულა, სადაც „იდენ პარკის“ მინდორზე ახალზელანდიელებს უნდა ერკინოს. დასვენებისა და მოცალეობის დრო ცოტაა და ფრანგები სასტუმროს ჰოლშიაც კი ნავარჯიშებას ცდილობენ. ისე, როგორც ტომ კასტანიედი, რომელიც დახლზე შემომჯდარ თანაგუნდელს, სებასტიან შაბალსაც ელაზლანდარავება და მსუბუქად ვარჯიშობს კიდეც.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge